სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
დანაშაულისა და სისხლის სამართლის
მართლმსაჯულების ცენტრი

უშანგი ბახტაძე

თაღლითობის გავრცელებული ტიპები და პრევენციის გზები

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

უაკ (UDC) 343.72
ბ-376

უშანგი ბახტაძე
თაღლითობის გავრცელებული ტიპები და
პრევენციის გზები
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დანაშაულისა და სისხლის
სამართლის მართლმსაჯულების ცენტრი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

Ushangi Bakhtadze
COMMON TYPES OF FRAUD AND ITS PREVENTION
Center for Crime and Criminal Justice of Sulkhan-Saba Orbeliani University
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2022

კორექტურა: ციცინო ხითარიშვილი

© უშანგი ბახტაძე, 2022
© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2022

ISBN 978-9941-8-4515-4

შინაარსი

- 419 ელექტრონული წერილები და შეტყობინებები 5
- ანგარიშის დაუფლება..... 6
- აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 7
- აუქციონთან დაკავშირებული თაღლითობა..... 8
- ბიზნესის დაწყებასთან ან გაუმჯობესებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 10
- ბიზნესის რეკლამირებასთან დაკავშირებული თაღლითობა 12
- ბინის ან საცხოვრებელი სახლის ქირავნობასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 13
- გადახდისუუნარობასთან (გაკოტრებასთან) დაკავშირებული თაღლითობა..... 14
- დაზღვევასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 14
- დასაქმებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 15
- დისტრიბუციასთან დაკავშირებული თაღლითობა 17
- ვებგვერდის დომენის სახელთან დაკავშირებული თაღლითობა..... 18
- თაღლითობისგან დასაცავი თაღლითობა..... 19
- იდენტიფიკაციის ქურდობა და თაღლითობა..... 21
- კარიერის წარმართვასთან (აწყობასთან) დაკავშირებული თაღლითობა..... 23
- კომპიუტერული პროგრამის მომსახურებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 24
- კრიპტოვალუტის ინვესტირებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 25
- ლატარიის გათამაშებასთან დაკავშირებული თაღლითობა 27
- მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობა 28
- მცდარ ბუღალტერიასთან დაკავშირებული თაღლითობა 29
- ნდობის ან პოზიციის ბოროტად გამოყენება 31
- პენსიის მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობა 32
- საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული თაღლითობა..... 33
- საბანკო ბარათთან დაკავშირებული თაღლითობა 34
  - თაღლითობა ბანკომატის დახმარებით..... 34
  - ბარათის გაყალბება 34
  - თაღლითობა მოპარული ან დაკარგული ბარათით 35
  - თაღლითობა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით 35

- სამედიცინო დიაგნოზის დასმასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 38
- სასტუმროს ან სხვა ტიპის საცხოვრებლის დაჯავშნასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 39
- სახელმწიფო უწყების სახელის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობა..... 39
- სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 40
- „სპამინგი“ 42
- ტურისტული თაღლითობა 44
- ტოტალიზატორის ფსონის განთავსებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 46
- ფიშინგი..... 48
- ფსიქიკური ზემოქმედება ან მომავლის ცოდნასთან დაკავშირებული თაღლითობა.....51
- ფულის გადაზიდვა („მულინგი“)..... 52
- „ზეგამდე“ ფულის სესხებასთან დაკავშირებული თაღლითობა 54
- ქველმოქმედებასთან დაკავშირებული თაღლითობა 56
- „ქოლცენტრის“ გამოყენებით ჩადენილი თაღლითობა..... 58
- ყალბი საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 59
- შესყიდვებთან დაკავშირებული თაღლითობა 61
- ჯანმრთელობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული თაღლითობა..... 62

შესავალი

ეკონომიკური დანაშაულებიდან თავისი არსითა და ბუნებით ყველაზე რთული დანაშაული თაღლითობაა, რომელსაც გამოვლინების უამრავი ფორმა აქვს. დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თაღლითობის მხოლოდ ზოგად დახასიათებას იძლევა და ამ ქმედების რამდენიმე სახესხვაობა სხვადასხვა მუხლის დისპოზიციაშია გაბნეული, რაც, ცხადია, ერთი მხრივ, აკრძალული ქმედებების მუხლობრივი რაოდენობის ზრდას იწვევს, ხოლო, მეორე მხრივ, თაღლითობის მნიშვნელობას ზოგ შემთხვევაში გაუმართლებლად აკნინებს.

თაღლითობას აქვს რამდენიმე ელემენტი, რომელიც მას სხვა დანაშაულისგან არსებითად განასხვავებს. უპირველეს ყოვლისა, თაღლითობის ცენტრში დგას ადამიანისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული ისეთი არაეთიკური ქცევა, როგორიც არის *ტყუილი ან სიცრუე*. თუმცა ქმედების თაღლითობად მიჩნევისთვის მნიშვნელოვანია არა ყველა ტიპის ტყუილი, არამედ ტყუილის მხოლოდ ისეთი განზომილება, რომელიც სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისკენ არის მიმართული და აუცილებლად წინ უძღვის ამ ქმედებას. შესაბამისად, თაღლითობაში ტყუილი გარკვეული ფინანსური სარგებლის მისაღწევი საშუალებაა, ხოლო ადამიანის ცხოვრებისეული სწრაფვა ფინანსური კეთილდღეობისკენ თავისთავად წარმოშობს იმ უამრავ გზას, რომელიც თაღლითობის საწინდარი შეიძლება გახდეს.

თავისთავად, ტყუილს შეიძლება ჰქონდეს აქტიური გამოხატულება, როდესაც ცრუ მონაცემების შეტყობინება ხდება წინასწარი შეცნობით ან პასიური გამოხატულება, როდესაც იმალება მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სავალდებულო იყო. ამას გარდა, თაღლითობისთვის დამახასიათებელი შეიძლება იყოს ისეთი ხერხიც, როგორიც ნდობის ბოროტად გამოყენებაა, ან შესაძლებელია ტყუილი გამოიხატოს რაიმე არაკეთილ-

სინდისიერ ქმედებაში, რამაც საბოლოოდ თაღლითური მიზნის მიღწევა განაპირობა.

ამ ქმედების პრაქტიკული პრობლემა მისი ჩადენის უამრავი ტიპის, ანუ სახეების არსებობა და ციფრული ტექნოლოგიების ზრდასთან ერთად, მისი ჩადენის ხერხების მატებაა. ამ სახეებიდან ზოგიერთი აშკარად თაღლითობის შემადგენლობას იძლევა, ზოგიც მხოლოდ თაღლითობის წინარე საფეხურია (მაგ., იდენტიფიკაციის ქურდობა ან დოკუმენტის გაყალბება), რომელიც პრაქტიკაში ხშირად თაღლითობის კონსტრუქციულ ელემენტად არ განიხილება და ცალკე კვალიფიკაცია ენიჭება. იმისათვის, რომ თაღლითობის სრულყოფილი გააზრება და ამ დანაშაულის გადაფასება მოხდეს, აუცილებელია ნებისმიერი ის ხერხი, რომელიც მოტყუებას შეიცავს და მიმართულია სხვისი ნივთის დაუფლების გამარტივებისკენ, სათანადოდ შეფასდეს და მოაზრებულ იქნეს თაღლითობის ჩადენის ან გაადვილების ხერხად. აღნიშნულით, ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდება ცალკეული დანაშაულების დეკრიმინალიზაცია ან მათი გამოყენების შემცირება, რაც თავისთავად სისხლის სამართლის გადაჭარბებულ ინფლაციას შეაჩერებს, ხოლო მეორე მხრივ, მოიმატებს თაღლითობის მნიშვნელობაც, რაც აუცილებელი საჭიროებაა. ცხადია, სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია ყველა ქმედებას სათანადო შეფასება მიეცეს, მაგრამ ეს არ გულისხმობს ყველა ახალი ფორმის პრობლემური ქმედებისათვის ხელოვნურად ახალი დანაშაულის შემადგენლობის მორგებას, რაც ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის ბოლო ათწლეულის აშკარა ტენდენციაა.

პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქმედება თაღლითობად არ კვალიფიცირდება მხოლოდ იმის გამო, რომ ქმედების სუბიექტია, მაგალითად, მეწარმე (კრედიტის უკანონო მიღება) მაშინ, როდესაც ქმედების ხასიათი ზუსტად ემთხვევა თაღლითობის მთავარ ნიშნებს. ადამიანი კრედიტის უკანონოდ მისაღებად, რაც ფინანსურ სარგებელთანაა დაკავშირებული, აქტიური მო-

ტყუების გზით დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდის შესაბამის თანამშრომელს. თუ ეს ადამიანი, მაგალითად, ინდივიდუალური მეწარმეა, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა თაღლითობად, არამედ კრედიტის უკანონო მიღებად. ასეთი მიდგომა ისევ ხელოვნურად ზრდის ერთი და იმავე ქმედების გამო განსხვავებული დანაშაულის გამოყენების პრაქტიკას, რაც პრაქტიკაში სისხლის სამართლის მნიშვნელობის დაკნინებას იწვევს. ამას გარდა, შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევებიც, როგორიცაა, ყალბი რეკლამა, უნაღდო ან ნაღდი გადასახადის საშუალებების გაყალბება, ფასლიფიცირებულ პროდუქტებთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაული და ა.შ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ) თითოეულ ასეთ ქმედებას მოიაზრებს ცალკე დანაშაულად (მაგ., ყალბი რეკლამა – სსკ-ის 201-ე მუხლი, ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება – სსკ-ის 210-ე მუხლი). ამ ნაშრომის მიზნებისთვის, თუ ადამიანი ამზადებს ყალბ საკრედიტო ბარათს და მისი მიზანი არის საბანკო დაწესებულების ან კონკრეტული მომხმარებლის მოტყუება, რათა ამ გზით ფინანსური სარგებელი მიიღოს, ეს ქმედება მოაზრებულია თაღლითობად. მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ყველა ეს ქმედება შესაძლებელია დაჯგუფდეს ერთი ქოლგის ქვეშ, იცოდეს მათი თავიდან აცილების ან მათგან დაცვის ტექნიკები, ხოლო კონკრეტული კვალიფიკაცია სხვა დონეზე გადასაწყვეტი საკითხია.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში ჩამოთვლილია თაღლითობის ისეთი სახეები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მიჩნეულია თაღლითობად, რადგან მის ცენტრში დგას ტყუილი (მისი მრავალგვარი გავრცელებული სახით) და სწორედ ტყუილისა და ფინანსური სარგებლის უკანონოდ მიღების ურთიერთმიმართების გამო მოაზრებულია ეს ქმედებები თაღლითობად. ქვემოთ ჩამოთვლილი თაღლითობის სახეები დაჯგუფებულია ანბანურად და შეიძლება შედიოდეს რომელიმე ჩამოთვლილ ქვეკატეგორიაში:

- **თაღლითობა**
  - ფინანსური თაღლითობა;
  - ფინანსური თაღლითობა სახელმწიფოს წინააღმდეგ;
  - ფინანსური თაღლითობა კერძო პირის წინააღმდეგ;
  - ფინანსური თაღლითობა იურიდიული პირის წინააღმდეგ;
  - კიბერთაღლითობები.

- **გაყალბება**
  - გადახდის საშუალებების გაყალბება;
  - ნაღდი ანგარიშსწორების საშუალებების გაყალბება;
  - უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებების გაყალბება;
  - საბუთების გაყალბება;
  - ფალსიფიცირებულ პროდუქტებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები.

ამ დოკუმენტის დამატებითი მიზანია, ამ საკითხით დაინტერესებულმა ყველა პრაქტიკოსმა გადააფასოს თაღლითობისა და მასთან მომიჯნავე დანაშაულთა მდებარეობის საკითხი, რაც ამ ქმედებების ახლებურად განსაზღვრისა და სწორი კვალიფიკაციის საფუძველი უნდა გახდეს.

419 ელექტრონული წერილები და შეტყობინებები

ხსენებული ტიპის თაღლითობა ხდება მაშინ, როდესაც უცხო ადამიანი გიკავშირდებათ ელ-ფოსტის ან სხვა ტიპის შეტყობინების საშუალებით და გთხოვთ წინასწარ თანხის გადარიცხვას მათ ანგარიშზე, რათა შეძლოს დიდი ოდენობით თანხის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანა და ამის სანაცვლოდ, გპირდებათ კონკრეტული თანხიდან საკმაოდ სოლიდურ პროცენტს, რომელიც შეიძლება რამდენიმე მილიონსაც შეადგენდეს.

როგორც წესი, ასეთი ელექტრონული წერილები და შეტყობინებები მოდის ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა: ერაყი, სამხრეთ აფრიკა ან დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, კოტ დივუარი, ტოგო ან ნიგერია. სწორედ ამ უკანასკნელი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის 419-ე მუხლი აცხადებს ამ ტიპის თაღლითობას დასჯადად და აქედან მომდინარეობს კონკრეტულად ამ თაღლითობის სახელიც.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- როგორც წესი, ასეთი ტიპის ელექტრონული წერილები ან შეტყობინებები დაწერელია გაუმართავი ენით და ავტორი ამტკიცებს, რომ დიდი ოდენობის თანხის მფლობელის ერთადერთი შორეული ნათესავი ან სხვაგვარად დაკავშირებული პირია და გეუბნებათ, რომ სწრაფად იმოქმედოთ და ეს ყველაფერი საიდუმლოდ შეინახოთ.
- გეუბნებიან, რომ თქვენ მიერ წინასწარ თანხის გადახდა აუცილებელია უფრო დიდი ოდენობის თანხის მისაღებად.
- თუ ელექტრონულ წერილს უპასუხებთ, გიკავშირდებიან სხვა ადამიანები, რომლებიც თავს პირველადი ელექტრონული წერილის ავტორის აგენტებად ან გამომძიებლებად ასაღებენ თავს. რეალურად ეს ადამიანებიც იმავე სქემის მოთამაშეები არიან, განსხვავებული ელ-ფოსტის მისამართებით.

ანგარიშის დაუფლება

თაღლითობის ეს ტიპი მაშინ არსებობს, როდესაც თაღლითი ან კიბერდამნაშავე თავს რეალურ მომხმარებლად წარადგენს, ეუფლება შესაბამის ანგარიშს და შემდეგ არაავტორიზებულ ტრანზაქციებს აკეთებს.

თაღლითი ნებისმიერი ტიპის ანგარიშს შეიძლება დაეუფლოს, იქნება ეს საბანკო ანგარიში, საკრედიტო ბარათის მონაცემები, ელ-ფოსტა, ტოტალიზატორის ანგარიში და სხვ.

ონლაინ საბანკო ანგარიშების დაუფლება, როგორც წესი, ფიშინგის, მავნე პროგრამების (malware) ან სხვა ისეთი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ხდება, რომელიც აღწევს მომხმარებლის კომპიუტერში, აგროვებს ინფორმაციას და მას მესამე პირს უგზავნის (spyware). ამ შემთხვევებში უკვე ინტერნეტ და კიბერდანაშაულთან გვაქვს საქმე. თაღლითობა იქნება მაშინ, თუ ხსენებულ ქმედებებს თანხის დაუფლება მოჰყვა.

აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებული თაღლითობა

თაღლითობის ეს ტიპი გვხვდება მაშინ, როდესაც იხსნება ანგარიში ყალბი ან მოპარული დოკუმენტების მეშვეობით, რომელიც სხვა ადამიანს ეკუთვნის და შემდეგ ანგარიში გამოიყენება ფულადი თანხის გასანაღდებლად, კრედიტის ასაღებად ან ნებისმიერი სხვა დაკავშირებული თაღლითური ქმედების ჩასადენად.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- ხშირად იღებთ ისეთი შინაარსის შეტყობინებებს ან ელექტრონულ წერილებს, რომლებიც ადასტურებენ თქვენი მხრიდან ახალი ბარათის დამზადებას ან სესხის აღებას ისე, რომ ასეთი მოთხოვნა არ გაგიკეთებიათ.
- გიწევთ ისეთი სერვისისთვის თანხის გადახდა, რაც არ მოგითხოვიათ. მაგალითად, Netflix-ის ან Play Station Plus-ის ყოველთვიური გადასახადი.
- თუ იდენტიფიკაციის ქურდობის[1] მსხვერპლი ხართ, შესაძლებელია ხსენებული ტიპის თაღლითობის მსხვერპლიც გახდეთ. ამ დროს მოპარულია დეტალები თქვენ შესახებ და ისინი გამოიყენება ანგარიშის თქვენ სახელზე გასახსნელად.

[1] ქვემოთ განხილულია უფრო დეტალურად.

აუქციონთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა ხდება მაშინ, როდესაც პრობლემა ან პრობლემები აღმოაჩნდება იმ ნივთს ან ტრანზაქციას, რომლის გასხვისება ხდება ონლაინ აუქციონზე, როგორიცაა, eBay, Gumtree, Etsy ან ნებისმიერი სხვა.

როდესაც აუქციონზე ფასების შეთავაზება დასრულდება, იქმნება სიტუაცია, როდესაც ნივთის ან უკვე გადახდილი თანხის დაბრუნება აღარ ხერხდება ან არ ხდება იმ თანხის დაბრუნება, რომელიც წინასწარი შენატანის გზითაა გადახდილი.

როგორ დავიცვათ თავი?

- ყოველთვის შეამოწმეთ ნივთის გამყიდველის გაყიდვების ისტორია და თუ რამეში ეჭვი გეპარებათ, დაუსვით კონკრეტული კითხვები გასაყიდ პროდუქტთან დაკავშირებით.
- კარგად გაეცანით აუქციონის ჩამტარებელი ვებგვერდის მოხმარებისა და დავის გადაწყვეტის წესებს.
- გადაიხადეთ უშუალოდ აუქციონის ვებგვერდის შესაბამის ველში და არა გამყიდველის მიერ გამოგზავნილ ანგარიშებზე. არასდროს გადაურიცხოთ თანხა პირდაპირ გამყიდველს. ყოველთვის ჯობს ისეთი დაცული სისტემის გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, PayPal, რომელიც იცავს მომხმარებლის მიერ გადახდილ თანხას, სანამ პრობლემა/დავა არ გადაწყდება.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- მყიდველს ან გამყიდველს ცუდი უკუგების ისტორია აქვს ან ახლიდან შექმნა პროფილი ცუდი რეპუტაციის დამალვის მიზნით.
- თქვენ იღებთ პირდაპირ გზავნილს გამყიდველისგან, რომელიც აუქციონზე არსებულ ფასზე ნაკლებ ფასად და საკომისიოს გარეშე გთავაზობთ იმავე ნივთს.

- არსებითად ძვირადღირებული ნივთი ძალიან დაბალ ფასად იყიდება. თუ შემოთავაზება დაუჯერებლად ჟღერს, მაშინ მისი დაჯერება დაუშვებელია.

პრაქტიკული მაგალითები

ონლაინ აუქციონები ძალიან მიმზიდველია ნივთების გასაყიდად, მაგრამ, ამავდროულად, ისინი კარგი პლატფორმაა თაღლითებისთვის, რომლებსაც სურთ უხარისხო პროდუქციის ან არარსებული პროდუქციის სარფიან ფასად გაყიდვა.

შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ თქვენ მიერ შეძენილი ნივთი მოვიდეს ძალიან გვიან ან საერთოდ არ მოვიდეს. ზოგიერთ შემთხვევაში შეძენილი პროდუქტი გაცილებით ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე მის აღწერილობაში იყო მითითებული ან ამ პროდუქტის ნაკლოვანების შესახებ ინფორმაცია არ გაზიარებულა.

თუ თქვენ ყიდით რაიმე ნივთს, შესაძლებელია მისი თანხა არ ჩაგირიცხონ. მყიდველი თანხის გადაუხდელობის გამო თავის დაძვრენის უამრავ გზას მოიფიქრებს ან გპირდებათ, რომ ჯერ პროდუქტს მიიღებს და შემდეგ ჩარიცხავს თანხას. განსაკუთრებით რთულდება სიტუაცია, როდესაც ყიდვა/გაყიდვა სხვადასხვა ქვეყანაში ხდება.

შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ გამყიდველმა თქვენი საიდენტიფიკაციო ან ფინანსური ინფორმაცია მოითხოვოს და ამის შემდეგ ითაღლითოს.

უფრო გამოცდილი თაღლითები ადამიანებს ამისამართებენ მათ მიერ შექმნილი აუქციონის გვერდებზე, რომლებიც ჰგავს რეალურ გვერდს (მაგ., www.ebayz.com), იმ მიზნით, რომ სწორედ ამ გვერდზე შეიყვანონ მათი მონაცემები. ამის თავიდან ასარიდებლად ყოველთვის უნდა შემოწმდეს ვებგვერდის მისამართი (URL).

ბიზნესის დაწყებასთან ან გაუმჯობესებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა მოიცავს ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების, დამატებითი შემოსავლის ან საკუთარი ბიზნესის დაწყების თაობაზე თაღლითურ შეთავაზებებს.

ხშირად თაღლითი ელფოსტის, რეკლამის ან ვებგვერდის საშუალებით სთავაზობს პოტენციურ მსხვერპლს ფულის ადვილად შოვნის გზას, მათ შორის, სახლიდან მუშაობით, საკუთარი ძალებით ონლაინსაქმიანობის დაწყებით. დაინტერესების შემთხვევაში, ისახება ისეთი სქემა, რომელიც მომხმარებლის დროის განრიგსა და მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად მორგებულია, რაც მას კიდევ უფრო დაუჯერებლად მიმზიდველს ხდის. საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მასალის შეგროვებას (სხვადასხვა შინაარსის სტატიები, სურათები) ან რაიმე ნივთებისა და სერვისების გაყიდვას მომხმარებლის ვებგვერდზე.

რეალურად ნებისმიერი პროდუქტი ან მომსახურება, რომლის გაყიდვაც სქემის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, გამოუსადეგარია და მისი გაყიდვა ვერასდროს მოხდება.

თაღლითის სარგებელი იმაშია, რომ პოტენციურ მსხვერპლს წინასწარ უწევს თანხის გადახდა სრული სქემისთვის, ვებგვერდის შექმნისთვის, გასაყიდი ნივთების შეძენისთვის ან ბიზნესის სამართავად რჩევების მიღებისთვის. შემდეგ თაღლითი აუცილებლად პოულობს მიზეზს, რატომაც არ მუშაობს კონკრეტული სქემა, რომლის წარუმატებლობის მთავარი ფაქტორი თავად მომხმარებლის არასწორი ქცევაა.

ასეთი სქემების უმეტესობა საკმაოდ პირდაპირია და გავრცელებული ე.წ. „პირამიდის“ სქემის სახელით, რომლის დროსაც თანხის გამომუშავება ამ სქემაში სხვა ადამიანების ჩართვაზეა დამოკიდებული. რაღაც პერიოდში ამან შეიძლება იმუშაოს, მაგრამ საბოლოო ჯამში ის არასდროსაა წარმატებული. სხვა შემთხვევაში სქემა უფრო რთულია, უკავშირდება ონლაინსერვისების გამოყენებას და ა.შ.

როგორ დავიცვათ თავი?

- ერიდეთ ისეთ რეკლამებს ან შეთავაზებებს, რომლებიც ზუსტად გეუბნებათ რამდენის გამომუშავებას შეძლებთ/ მინიმუმ რამდენს გამოიმუშავებთ.
- რაც უფრო მიმზიდველი და თქვენს ინტერესებზე მორგებული შეთავაზებაა (ხშირია შემთხვევები, როდესაც თაღლითი გარწმუნებთ, რომ ცოტაოდენი დროისა და ენერგიის ჩადების შემდეგ ბიზნესი თავად განაგრძობს მუშაობას), მით მეტი ალბათობაა იმისა, რომ თაღლითურ სქემასთან გქონდეთ საქმე.
- თუ რეკლამა ონლაინ მიიღეთ, ყურადღება მიაქციეთ საკონტაქტო ინფორმაციას. თუ რეკლამის გამავრცელებლის ტელეფონის ნომერი იწყება 07-ით, ან ელფოსტის მისამართი, მაგალითად, @yahoo ან @hotmail-ია, უფრო დიდი შანსია, რომ შემოთავაზებული ტყუილი იყოს, ვიდრე პირიქით. ნამდვილი ბიზნესები ასეთ მისამართებს არ იყენებენ.
- არ შეგაცდინოთ შემოთავაზებული მუშაობის ადვილმა პირობებმა და ამის გამო გადაუმოწმებლად არ გასცეთ პირადი ინფორმაცია, რადგან ეს ინფორმაცია დაკავშირებული თაღლითების მიერ გამოიყენება, რომლებმაც შეიძლება ამ შემთხვევაზე საპასუხოდაც შემოგთავაზონ დახმარება.

ბიზნესის რეკლამირებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობაა, როდესაც კონკრეტულ ბიზნესს სთავაზობენ უფასო რეკლამირებას, სთხოვენ საჭირო მონაცემებს და შემდეგ მოტყუებით აჭრიან მომსახურების საკომისიოს.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- ყველაზე გავრცელებული ხერხის მიხედვით, თაღლითი უკავშირდება კომპანიას ტელეფონით, ელფოსტით და სთავაზობს მას უფასო რეკლამირებას. თანხმობის მიღების შემდეგ თაღლითი კოპმანიის დეტალებს აგროვებს.
- დეტალების შემდეგ იგზავნება სავალდებულოდ შესავსები ფორმა, რომლის შევსების შემდეგაც, თვის ბოლოს ან ნებისმიერ სხვა „შეთანხმებულ“ დროს ჩამოიჭრება მომსახურების საკომისიო.

როგორ დავიცვათ თავი?

- ცნობიერების ამაღლება იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც კომპანიის გარე კომუნიკაციაზე არიან პასუხისმგებლები.
- თუ მსგავსი შემოთავაზება არსებობს, რაც შეიძლება მეტი გაიგეთ კომპანიის შესახებ, რადგან, როგორც წესი, ასეთი ტიპის უფასო სერვისები არ არსებობს.

ბინის ან საცხოვრებელი სახლის ქირავნობასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა ხდება მაშინ, როდესაც მოქირავნეს ახდევინებენ ქირავნობის თანხას წინასწარ, თუმცა რეალურად გასაქირავებელი ქონება არ არსებობს ან უკვე გაქირავებულია, შესაძლებელია არაერთგზის.

თაღლითები ხშირად სტუდენტებს ან ისეთ ადამიანებს არჩევენ, ვისაც უძრავი ქონების ქირავნობის მყისიერი აუცილებლობა აქვთ.

როგორ დავიცვათ თავი?

- წინასწარ არ გადაიხადოთ თანხა ონლაინ ნანახი ქონების სურათებში, სანამ არ დარწმუნდებით, რომ განცხადება რეალურია.
- თუ სტუდენტი ხართ და გჭირდებათ ბინის დაქირავება (მათ შორის, თუ საზღვარგარეთ მიდიხართ), მიმართეთ უნივერსიტეტს ან გადაამოწმეთ სხვადასხვა საშუალებით, რამდენად რეალურია ის ქონება, რომლის რეკლამირებაც ხდება.
- არ გადაიხადოთ თანხა, სანამ ბინას არ ნახავთ.
- გადაამოწმეთ ბინის მესაკუთრე და თუ ბინას შუამავლის დახმარებით ქირაობთ, დაეკონტაქტეთ მესაკუთრესაც, ცალკეული დეტალების გადასამოწმებლად.

გადახდისუუნარობასთან (გაკოტრებასთან) დაკავშირებული თაღლითობა

ამ შემთხვევაში უკანონო ქმედება მოიცავს ისეთი კომპანიების მხრიდან თაღლითურ ვაჭრობას, რომლებმაც იციან, რომ გადახდისუუნარონი არიან და ამის ოფიციალურად დაფიქსირებამდე ვაჭრობენ – ე.წ. „ფენიქსი“ კომპანიები.

„ფენიქსი“ კომპანია არსებობს მაშინ, როდესაც გადახდისუუნარო კომპანიის ადგილზე მყისიერად იქმნება ახალი კომპანია, იმავე ხელძღვანელებით (დირექტორებით), მაგრამ ანგარიშვალდებული არაა კრედიტორების წინაშე, რადგან ფორმალურად ახალი საზოგადოებაა.

გადახდისუუნარობასთან (გაკოტრებასთან) დაკავშირებული თაღლითობა იმ შემთხვევაშიც არსებობს, თუ კომპანია უკანონო საქმიანობას აგრძელებს მაშინ, როდესაც უფლებამოსილება შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს.

თაღლითობა ხდება, თუ მსხვერპლი ფინანსურ დანაკარგს განიცდის. მაგალითად, გადახდისუუნარო კომპანია იღებს სესხს ბანკისგან ან საკრედიტო კომპანიისგან ისე, რომ თავის სამართლებრივ მდგომარეობას მალავს.

დაზღვევასთან დაკავშირებული თაღლითობა

თაღლითობის ეს ტიპი მაშინ არსებობს, როდესაც მომხმარებელი მცდარად უთითებს განცდილი დანაკლისის შესახებ ან ერთი და იმავე მოთხოვნას რამდენიმეჯერ აყენებს და სადაზღვევო კომპანიას სთხოვს ამის ანაზღაურებას. ალტერნატიულად, შესაძლებელია ქონება განადგურდეს სდაზღვევო კომპანიისთვის ანაზღაურების მოთხოვნის განზრახვით.

სადაზღვევო თაღლითობისას ცრუ ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს როგორც ადამიანის ქონებას, ისე მის ჯანმრთელობას და განზრახვა არის სადაზღვევო კომპანიის შეცდომაში შეყვანა, უსაფუძვლო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით.

დასაქმებასთან დაკავშირებული თაღლითობა

თაღლითობის ეს ტიპი ხდება მაშინ, როდესაც თაღლითი თავს ნამდვილ დამსაქმებლად ასაღებს, ცდილობს კადრის შერჩევას, მათ შორის, სხვა ქვეყანაში გასაგზავნად, მაგრამ რეალურად ასეთი პოზიცია არ არსებობს.

როგორ ხდება?

> თქვენ ათავსებთ რეზიუმეს რომელიმე დასაქმების ვებგვერდზე ან სოციალურ ქსელში (მაგ., LinkedIn), რათა რეალურმა დამსაქმებელმა ნახოს ინფორმაცია.
>
> ამის შემდეგ თქვენ გიკავშირდებათ ადამიანი, რომელიც ნამდვილ დამსაქმებლად ასაღებს თავს და გარწმუნებთ, რომ თქვენი კანდიდატურა განიხილება. ნდობის მოსაპოვებლად შეიძლება გთხოვონ რაიმე კითხვარის შევსება და ტელეფონზეც გაგესაუბრონ. ამას გარდა შეიძლება რაიმე ცრუ ვებგვერდზეც გადაგამისამართონ დეტალური ინფორმაციის სანახავად.
>
> საბოლოოდ გიკავშირდებიან და გეუბნებიან, რომ წარმატებით გადალახეთ გასაუბრების ეტაპი. ამის შემდეგ, როდესაც უკვე „ოფიციალურად“ გიკეთებენ შეთავაზებას, იწყება პირობებზე საუბარი. თუ სამსახური სხვა ქვეყანაშია (სწორედ ეს არის ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპი) საუბარი იწყება მგზავრობის, საცხოვრებლის და ვიზის პირობებზე. ამ დროს ისევ გადაამისამართებენ რომელიმე სააგენტოსთან, რომელიც თაღლითების მიერ იმართება და გარკვეული საფასურის სანაცვლოდ სწორედ ეს სააგენტო იწყებს ყველაფერზე მუშაობას.
>
> როდესაც სააგენტოსთან ერთი ტიპის გადასახადის გადახდა ხდება (მაგ., ვიზის ასაღებად აპლიკაციის შევსების), სააგენტო უკვე სხვა საფასურს ითხოვს (საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად გარკვეული დეპოზიტი). სინამდვილეში ცრუ სააგენტო, ცხადია არცერთ ამ მომსახურებას არ სწევს. მეტიც

შეიძლება თაღლითმა ამ პროცესში მოითხოვოს ფინანსური ინფორმაციის გაცემაც, რაც შემდგომში ვითომ და ხელფასის ჩასარიცხად იქნება გამოყენებული. რეალურად ამ შემთხვევაშიც ეს დეტალები ფულის დასაუფლებლად გამოიყენება.

როგორ დავიცვათ თავი?

- შეამოწმეთ „დამსაქმებლის“ მიერ გამოგზავნილი ელექტრონული წერილები, პირობები და ა.შ. ხშირად თაღლითი ბევრ შეცდომას უშვებს წერისას, რაც დამსაქმებლის ნამდვილობაზე კითხვის ნიშნებს შეიძლება აჩენდეს.
- თუ საზღვარგარეთ დასაქმებას ეხება საქმე, გაარკვიეთ შესაბამისი ქვეყნის საელჩოსთან ან სხვა გზით სავიზო პირობები (საერთოდ არის თუ არა ვიზა საჭირო), საფასური და ა.შ.
- შეამოწმეთ ნამდვილად არსებობს თუ არა ის კომპანია, რომელიც დასაქმებას გთავაზობთ. თუ არსებობს, დაუკავშირდით ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულ ნომერზე და გაარკვიეთ, რამდენად არსებობს ეს პოზიცია.
- უთხარით დამსაქმებელს, რომ მგზავრობასა და საცხოვრებელთან დაკავშირებულ საკითხებს თქვენით მოაგვარებთ. თუ ამ დროს ისინი შეეცდებიან დაგარწმუნონ, რომ ეს აუცილებლად რომელიმე სააგენტოს დახმარებით უნდა გააკეთონ, მაშინ დიდი შანსია, რომ გატყუებენ.
- თუ დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენლად გეცნობათ და შემდეგ პირადი ელფოსტით გიგზავნით შეტყობინებებს (განსაკუთრებით @Yahoo ან @Hotmail), შესაძლებელია თაღლითთან გქონდეთ საქმე.

დისტრიბუციასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა მაშინაა, როდესაც სადისტრიბუციო კომპანია ასრულებს შეკვეთას, მიაქვს დათქმულ ადგილას პროდუქტი, მაგრამ ამ მომსახურებისთვის ანაზღაურება აღარ ხდება.

თაღლითი თავს ასაღებს რომელიმე ცნობილი კომპანიის წარმომადგენლად, რათა მისი მხრიდან ნივთების გადაზიდვის თაობაზე განაცხადი უფრო სანდო ჩანდეს. ხშირია შემთხვევა, როდესაც თაღლითი მეტი დამაჯერებლობისთვის მართლაც რომელიმე დიდი კომპანიის მისამართს უთითებს და შემდეგ დისტრიბუტორთან პირადი კონტაქტის შემდეგ ნივთის გადაზიდვისას ცვლის მისამართს.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- სადისტრიბუციო კომპანია იღებს ელექტრონულ წერილს დიდი ოდენობით ნივთების გადაზიდვის თაობაზე. მყიდველი უთითებს, რომ ადგილზე გადაიხდის მომსახურების ღირებულების საფასურს.
- კომპანიას დაჟინებით სთხოვენ, რომ დისტრიბუცია რაც შეიძლება მალე განახორციელოს.
- მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების მიმღები თავს რომელიმე დიდი კომპანიის წარმომადგენლად ასაღებს, პირად ელფოსტას იყენებს და არა კომპანიისას.

ვებგვერდის დომენის სახელთან დაკავშირებული თაღლითობა

ვებგვერდის დომენის სახელთან დაკავშირებული თაღლითობა არსეობს მაშინ, როდესაც უკვე არსებული ვებგვერდის მისამართის დომენის მფლობელს, ცრუ ინფორმაციის მიწოდების ხარჯზე, თითქოს მესამე პირი აპირებს იგივე დასახელების დომენის შეძენას, აიძულებენ თანხის გადახდას.

ამ შემთხვევაში იძულება შეიძლება განხორციელდეს ისეთი ფორმით, თითქოს დომენის მფლობელს სულ რამდენიმე წუთი ჰქონდეს გადაწყვეტილების მისაღებად და ამიტომ იყოს იძულებული, გადაიხადოს თანხა. ასეთ დროს გათვლა იმაზეა, რომ ადამიანს არ გააჩნდეს დიდი დრო დასაფიქრებლად და რეალური ინფორმაციის გადასამოწმებლად.

ამ ტიპის თაღლითობის სახესხვაობაა დომენის სახელით სარგებლობის განახლებასთან დაკავშირებული თაღლითობა. ასეთ დროს მომხმარებელს მისდის ცრუ შეტყობინება, რომ დომენს გაუვიდა რეგისტრაციის ვადა და ის საჭიროებს განახლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვამ შეიძლება განაგრძოს ამ დომენით სარგებლობა.

თაღლითობისგან დასაცავი თაღლითობა

თაღლითობისგან დასაცავი თაღლითობა ხდება მაშინ, როდესაც თაღლითობის მსხვერპლთან მყარდება კომუნიკაცია ამ ქმედებისგან მიყენებული ზიანის გამოსწორების თაობაზე, მაგრამ მომსახურებისთვის წინასწარი თანხის შეტანის შეთავაზებით ისევ თაღლითობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ხშირ შემთხვევაში ადამიანი თაღლითობის მსხვერპლი ხდება, რადგან მის შესახებ დიდი დოზით ინფორმაციაა თავმოყრილი თაღლითის ხელში. შესაბამისად, ის განმეორებითი თაღლითობისთვის კარგი სამიზნეა. სწორედ ამიტომ თაღლითები უკავშირდებიან მსხვერპლს და თავის სამართალდამცველებად ან შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტებად წარდგენის გზით, უკანონო ქმედებისგან მიყენებული ზიანის გამოსწორებას ჰპირდებიან (თანხის დაბრუნება, სამართლებრივი რეაგირება და ა.შ.), თუმცა ამის სანაცვლოდ ითხოვენ მომსახურების თანხის წინასწარ გადახდას.

როგორ დავიცვათ თავი?

- თუ წარსულში თაღლითობის მსხვერპლი იყავით, დიდი სიფრთხილით შეამოწმეთ ნებისმიერი მსგავსი შეთავაზება, ელფოსტა, საკონტაქტო ნომერი ან კომპანიის წარმომავლობა.
- თუ დახმარების სანაცვლოდ თანხის წინასწარ გადახდას გთხოვენ, შეწყვიტეთ ამ ადამიანთან საუბარი.
- გაარკვიეთ როგორ გაიგეს, რომ თაღლითობის მსხვერპლი ხართ. თქვენ მიერ თაღლითობის შესახებ პოლიციისთვის მიმართვის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და პოლიციის მხრიდან არ საჯაროვდება.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- თქვენ გიკავშირდეთ პიროვნება ან კომპანიის წარმომადგენელი და დეტალებში გესაუბრებათ თქვენ მიერ დაკარგული თანხის დაბრუნებაზე, თუმცა ამისათვის წინასწარ ითხოვს თანხას. სამართალდამცველები ან ამ კუთხით მომუშავე სხვა სააგენტოს წარმომადგენლები წინასწარ თანხას არ ითხოვენ ან მოთხოვნის უფლება არ გააჩნიათ.
- კავშირი შედგა პირადი ელფოსტის მეშვეობით (@Yahoo, @Hotmail, @mail.ru). სახელმწიფოს შესაბამისი უწყების თანამშრომლები ასეთ ელფოსტებს აღარ იყენებენ.

იდენტიფიკაციის ქურდობა და თაღლითობა

იდენტიფიკაციის ქურდობა მაშინ არსებობს, როდესაც თაღლითი ეუფლება ინდივიდის შესახებ საკმარის პირად ინფორმაციას (სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საცხოვრებელის მისამართი) შემდგომი თაღლითობის ჩასადენად. ამ ქმედებისთვის დამახასიათებელია ის, რომ შესაძლებელია როგორც ცოცხალი, ისე გარდაცვლილი ადამიანის იდენტიფიკაციის ქურდობა.

იდენტიფიკაციის ქურდობა მსხვერპლისათვის შეიძლება დიდი ზიანის მომტანი იყოს და გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობაზე. კერძოდ, მისთვის გართულდეს ბანკიდან სესხის აღება, მათ შორის, იპოთეკურის ან არსებულ სესხზე შეექმნას პრობლემები და ა.შ.

იდენტიფიკაციის ქურდობასთან დაკავშირებული თაღლითობა მაშინ არსებობს, როდესაც მოპარული იდენტობა გამოიყენება ისეთი კრიმინალური ქმედებების ჩასადენად, რომელთა ცენტრშიც მოტყუება ან ნდობის ბოროტად გამოყენებაა.

იდენტიფიკაციის დეტალები შეძლება გამოყენებულ იქნეს:

- საბანკო ანგარიშის გასახსნელად;
- სესხის ან სახელმწიფო შემწეობის მისაღებად;
- სხვისი სახელით ნივთების გამოსაწერად;
- სხვისი ანგარიშების დასაუფლებლად;
- სხვისი სახელით გადასახადების გადასახდელად;
- სხვისი სახელით პირადი ანგარიშების (ტელეფონი, ტოტალიზატორი, სხვა.) შესავსებად;
- სხვისი სახელით სხვადასხვა მოქმედების შესასრულებლად.

საგულისხმოა, რომ თავად იდენტიფიკაციის ქურდობა თაღლითობას არ მიეკუთვნება და ცალკე სამართლებრივი რეგულირება უნდა მიეცეს. მაგრამ მოპარული იდენტიფიკაციით ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენა, ცალსახად თაღლითობაა.

როგორ დავიცვათ თავი?

- არასდროს გადააგდოთ ისეთი დოკუმენტები, რომლებზეც თქვენი პირადი დეტალებია დატანილი. აუცილებლად სათანადო წესით გაანადგურეთ ისინი (სპეციალური აპარატის დახმარებით ან დაწვით).
- არავის არასდროს გაანდოთ თქვენი ანგარიშის/მომხმარებლის სახელი და პაროლი, ასევე, სხვა პირადი დეტალები, ანგარიშის ნომერი და ა.შ. ყოველთვის იცოდეთ, რომ ბანკი ან სხვა დაწესებულება პაროლს არასდროს გთხოვთ.
- თუ სატელეფონო ზარის ან ელექტრონული წერილის წარმომავლობაზე გაქვთ ეჭვი, აუცილებლად დაუკავშირდით იმ დაწესებულებას, რომლადაც თავს შეიძლება ასაღებდეს თაღლითი.
- ყურადღებით შეამოწმეთ თქვენი ტრანზაქციების ისტორია და ნებისმიერი საეჭვო ტრანზაქციის შესახებ აცნობეთ ბანკს.
- უმეთვალყურეოდ არ დატოვოთ ბანკომატიდან თანხის განაღდების ან გადახდის ქვითრები.
- თუ მისამართს შეიცვლით, აუცილებლად განაახლეთ საფოსტო ინდექსიც.
- თუ დაკარგეთ ბანკის ბარათი ან რაიმე საეჭვო შენიშნეთ, მყისიერად დაუკავშირდით ბანკს და შეაჩერეთ მისი მოქმედება.
- ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საეჭვო ხდება თქვენს პირად ანგარიშებთან დაკავშირებით, იმოქმედეთ სწრაფად, რადგან თავის დასაცავად ხშირად სწორედ სწრაფი რეაგირებაა გადამწყვეტი.

კარიერის წარმართვასთან (აწყობასთან) დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ნდობაში შედიან ფიქტიურ კომპანიებთან ან ფიქტიური რეკლამების გამავრცელებლებთან, რომლებიც მათ კარიერის აწყობას სთავაზობენ.

ამგვარი თაღლითობა შეიძლება გამოიხატოს ფიქტიური რეკლამების გავრცელებაში, მაგ., გამოგონების ან პატენტის შესახებ, სამოდელო სააგენტოში გაწევრიანების ან ფილმში გადაღების შესახებ, ასევე ნებისმიერი ისეთი შეთავაზების გაკეთებით, რომელიც ადამიანს წარმატებულ კარიერას ჰპირდება.

კარიერასთან დაკავშირებული თაღლითობა იწყება ადამიანის შერჩევით, რომელსაც არწმუნებენ, რომ მისი მონაცემები ნახეს სოციალურ ქსელში და სთავაზობენ კონსულტაციას, რის შემდეგაც ის წარმატებული კარიერის დაგეგმვას/აწყობას შეძლებს. პირველადი კონსულტაცია შეიძლება უფასო იყოს (დარწმუნების მიზნით), ან მოთხოვნილი იქნეს წინასწარი გადახდა. თაღლითი თანხას წინასწარ, ბაზრის შემდგომი კვლევისთვის ან სხვა ლეგიტიმური მიზნისთვის ითხოვს, მაგრამ დაპირებული კარიერა ან სხვა სარგებელი არ მატერიალიზდება.

თაღლითობა დგება, თუ ადამიანმა ფინანსური ზიანი განიცადა.

კომპიუტერული პროგრამის მომსახურებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა მაშინ არსებობს, როდესაც კომპიუტერული პროგრამების მომსახურებასთან დაკავშირებით ხდება ცრუ კავშირის დამყარება მომხმარებელთან, რომელსაც თავს აცნობენ Microsoft-ის ან Apple-ის თანამშრომლად და არწმუნებენ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რაც კომპიუტერს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს. პრობლემის გამოსასწორებლად პროგრამის (მაგ., Windows-ის) გააქტიურება (ე.წ. „ვალიდაციაა“) საჭირო, რომელიც უშუალოდ კონკრეტული საფასურის გადახდით არის შესაძლებელი ან საკრედიტო ბარათის მონაცემების გამჟღავნებით.

როგორ დავიცვათ თავი?

- კომპიუტერული კომპანიები არასდროს უკავშირდებიან მომხმარებელს ტელეფონით (სატელეფონო ზარი, შეტყობინება).
- ელფოსტით კონტაქტის შემთხვევაში, ზედმიწევნით გადაამოწმეთ გამომგზავნის მონაცემები.

კრიპტოვალუტის ინვესტირებასთან დაკავშირებული თაღლითობა

თაღლითობის ეს ტიპი მაშინ არსებობს, როდესაც კრიპტოვალუტის შეძენასთან დაკავშირებით კეთდება ცრუ რეკლამა, რომლის მიხედვითაც, ძვირადღირებული კრიპტოვალუტა სარფიან ფასად იყიდება რომელიმე საიტზე დარეგისტრირების სანაცვლოდ.

ხშირია შემთხვევა, როდესაც თაღლითები სოციალური მედიის პლატფორმებით უკავშირდებიან პოტენციურ მსხვერპლს და სთავაზობენ „გამდიდრების“ საკმაოდ მარტივ სქემას, რომელიც კრიპტოვალუტის შეძენას ან უკვე არსებული კრიპტოვალუტით ვაჭრობას შეეხება.

ასეთ დროს მომხმარებელს არწმუნებენ, რომ კონკრეტული კრიპტოვალუტის ინვესტირების ვებგვერდზე რეგისტრაციით, რაც თავისთავად მთელი რიგი პერსონალური და ფინანსური ინფორმაციის გაცემას გულისხმობს, საკმაოდ მომგებიანი საქმიანობის დაწყებაა შესაძლებელი. რეგისტრაციის შემდეგ მომხმარებელს უხდება გარკვეული დეპოზიტის გაკეთება, რომლის შემდეგაც მათ არწმუნებენ, რომ მოახდინონ შემდგომი ინვესტირება, რადგან დიდი მოგების ნახვა მხოლოდ დიდი ინვესტირებით არის შესაძლებელი.

როგორ დავიცვათ თავი?

- არ დაიჯეროთ, რომ ასეთი ტიპის განცხადებები/რეკლამები რეალურია. ერთი შეხედვით პროფესიონალური ვებგვერდები, რეკლამები ან სოციალური მედიის პოსტები ყოველთვის სიმართლეს არ შეესაბამება. დამნაშავეებს შეუძლიათ მომხმარებლის მოტყუების მიზნით ბევრ ასეთ ხერხს მიმართონ, რათა უმთავრესი რამ, – ნდობა მოიპოვონ. ამის შემდეგ ყველაფერი ადვილია.
- სანამ რომელიმე ასეთი შინაარსის ვებგვერდზე დარეგისტრირდებით, კარგად შეამოწმეთ ამ გვერდის წარმომავლო-

ბა, მისი შეფასებები. ხშირად ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებით საკმაოდ მარტივად შეიძლება ასეთი შინაარსის თაღლითური სქემის ან ვებგვერდის გამოაშკარავება. თუ ასეთი ინვესტიციის გაკეთება გსურთ, ენდეთ მხოლოდ ისეთ ვებგვერდებს, რომლებიც კარგად გაქვთ შესწავლილი. რაც უფრო დაუჯერებელია შეთავაზება, ერთი მხრივ, მით უფრო მაცდურია, მაგრამ, მეორე მხრივ, მით უფრო დიდია თაღლითობის მსხვერპლად გახდომის ალბათობა.

ლატარიის გათამაშებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ლატარიის გათამაშებასთან დაკავშირებული თაღლითობაა, როდესაც ადამიანს არწმუნებენ, რომ მოიგო ჯეკპოტი ან დიდი თანხა, თუმცა რეალურად ამ ტიპის ინფორმაცია მცდარია და ფინანსური მონაცემების ან თანხის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას ემსახურება.

ლატარია და საპრიზო ფონდი რეალურად არ არსებობს ან თაღლითი რეაალური ლატარიის გათამაშების წარმომადგენლად ასაღებს თავს.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- თუ არ მიგიღიათ ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა, წარმოუდგენელია, რამე მოიგოთ.
- თუ გეუბნებიან, რომ მოგების შესახებ ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ თანხას დაკარგავთ, ეს ნიშნავს, რომ თაღლითურ სქემასთან გაქვთ საქმე.
- გარწმუნებენ, რომ თანხის გასანაღდებლად გარკვეული გადასახადის (იურიდიული მომსახურების, საბანკო მომსახურების) გადახდაა აუცილებელი.

როგორ დავიცვათ თავი?

- არ უპასუხოთ ლატარიის გათამაშებაში გამარჯვების ისეთ შეტყობინებას, რომელშიც მონაწილეობა არ მიგიღიათ.
- შეწყვიტეთ ყოველგვარი კონტაქტი და აცნობეთ თქვენს ბანკს, თუ რომელიმე საფინანსო დეტალი გაანდეთ სხვას.
- არასდროს გადაიხადოთ წინასწარ თანხა გათამაშებაში მოგებული თანხის გასანაღდებლად.

მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა მაშინ არსებობს, როდესაც საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (ძირითადად ელფოსტა) ადამიანს უკავშირდებიან და მას ცრუ ინფორმაციას აწვდიან, თითქოს ვიღაც მდიდარი ადამიანი მოკვდა და მისი ქონება ამ ადამიანს ეკუთვნის ან სხვას ეკუთვნის, მაგრამ დახმარება სჭირდება თანხის გამოსატანად.

ამ შემთხვევაში თაღლითი თავს იურისტად ან სხვა ტიპის წარმომადგენლად ასაღებს და ამ ფორმით უკავშირდება პოტენციურ მსხვერპლს. მთავარი ხრიკი არის არანორმალურად დიდ თანხაზე მითითება და იმის მტკიცება, რომ ეს თანხა ჰაერშია გამოკიდებული და შეიძლება მისი მესაკუთრე დაზარალდეს.

წარმომადგენელი წერილში ირწმუნება, რომ სხვა მემკვიდრე ვერ ნახა და რადგან გარდაცვლილსა და მსხვერპლს საერთო გვარი აქვთ, ამიტომ შეაჩერა ყურადღება კონკრეტულ ადამიანზე და თუ ის თანხის აღებას არ დათანხმდება, მაშინ ყოველივე სახელმწიფოს დარჩება. ამის სანაცვლოდ, ის თანხის გაყოფას ან მცირე პროცენტის წარმომადგენლისთვის გადარიცხვას თანხმდება. თაღლითი ირწმუნება, რომ ეს ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

თუ მსხვერპლი შეცდება და უპასუხებს, შემდეგ წერილებში საუბარი შეეხება იმას, რომ თანხა დაბლოკილია და მის გამოსატანად გარკვეული ხარჯის გაწევაა საჭირო. კერძოდ, გადასახადების, იურიდიული მომსახურების საფასურის, ბანკის მომსახურების საფასურის და ა.შ.

ყველა თანხის გადარიცხვის შემდეგ, თაღლითი ახალ მიზეზს მოიფიქრებს, რატომაც არ მოხერხდა თანხის განბლოკვა. თუ მსხვერპლი გადაიფიქრებს დამატებით თანხის ჩარიცხვას, თაღლითი დაიწყებს ზეწოლას და იმაზე მითითებას, თუ რაოდენ ახლოსაა მსხვერპლი ამხელა თანხასთან.

თაღლითმა შეიძლება საბანკო ანგარიშის დეტალები მოითხოვოს და თუ შემთხვევით მსხვერპლი მიაწვდის მას, მაშინ ესეც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანგარიშიდან თანხის დასაუფლებლად.

მცდარ ბუღალტერიასთან დაკავშირებული თაღლითობა

მცდარ ბუღალტერიასთანაა დაკავშირებული თაღლითობა, როდესაც საწარმოს აქტივები გადაჭარბებულია ან ვალდებულებები არ არის სათანადოდ შეფასებული, რაც ბიზნესს ფინანსურად იმაზე უფრო მდგრადად წარმოაჩენს, ვიდრე ის რეალურად არის.

ყალბი ბუღალტერია მოიცავს თანამშრომლის ან ორგანიზაციის მხრიდან სამეწარმეო, საგადასასახდო და სააღრიცხვო დოკუმენტებში განზრახ მცდარი ციფრების დაფიქსირებას, საწარმოს ოპერაციების/ტრანზაქციების გაყალბებას და ა.შ.

აღნიშნული ტიპის თაღლითობა შეიძლება შემდეგი მიზნებით ხორციელდებოდეს:

- ბანკისგან დამატებითი დაფინანსების/ინვესტიციის მისაღებად;
- არარეალური მოგების საჩვენებლად;
- აქციის ფასის გასაზრდელად;
- დანაკარგების დასამალად;
- მომხმარებლების მოსაზიდად, საწარმოს იმაზე წარმატებულად წარმოჩენით, ვიდრე ის რეალურად არის;
- წარმატებული საქმიანობისთვის დაწესებული ბონუსის მისაღებად;
- ქურდობის დასამალად.

რა მიზნითაც არ უნდა ხორციელდებოდეს ამ ტიპის თაღლითობა, ის ყოველთვის მოტივირებულია საბუღალტრო-სააღრიცხვო პროცესის მართვასთან დაკავშირებული მონაცემების გაყალბების საჭიროებით ან ორი სხვადასხვა ტიპის საფინანსო ანგარიშის წარმოებით.

როგორ დავიცვათ თავი?

> - თანამშრომელთა გადამოწმების სათანადო მეთოდების დანერგვა, სამსახურში აყვანისას.

- საბუღალტრო პროცესების პერიოდული აუდიტი.
- საბუღალტრო პროცესებზე ორმაგი ავტორიზაციის მექანიზმის დანერგვა.
- კომპანიის სენსიტიურ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა.
- ვალდებულებების მკვეთრი გამიჯვნა.
- საბუღალტრო პროცესებში ჩართული ადამიანების როტაცია (საწარმოს სიდიდის მიხედვით).
- კომპანიის მხრიდან არსებულ გადახდებზე ორმაგი ავტორიზაციის მექანიზმის დანერგვა.
- შიდა გამოძიების მექანიზმის დანერგვა.
- თაღლითობის მართვასთან/კონტროლთან დაკავშირებით მკაფიო გეგმის არსებობა.

ნდობის ან პოზიციის ბოროტად გამოყენება

თაღლითობის ეს ტიპი ვინმეს მხრიდან საკუთარი სამსახურებრივი პოზიციის ან ნდობის ბოროტად გამოყენებას გულისხმობს, თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ან იმ მიზნით, რომ სხვამ მატერიალური დანაკლისი განიცადოს ან მის სტატუსს ან რეპუტაციას მიადგეს ზიანი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახის წევრს, მეგობარს, შესაბამისი კომპანიის თანამშრომელს ანდობენ პირადი ან ბიზნესსაკითხების მართვას. ასეთ დროს ამ ადამიანებს ლეგალურად აქვთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე ან საბანკო ანგარიშებზე, რომელსაც ისინი თავისი მიზნებისთვის იყენებენ.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- თქვენ მიერ ნდობით აღჭურვილი პირი გაიძულებთ საეჭვო გადაწყვეტილების მიღებას დროის მოკლე მონაკვეთში.
- თქვენ მიერ ნდობით აღჭურვილი პირი გაიძულებთ დაუმალოთ მისი ქმედებები ოჯახის წევრებს, პარტნიორებს და ა.შ.
- საბანკო ანგარიშებზე არსებული უჩვეულო აქტივობა, როგორიცაა, არასათანადო შესყიდვები ან დიდი ოდენობით თანხების გადარიცხვა.

პენსიის მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობა

თაღლითი მოტყუებით ცდილობს პენსიის დაუმსახურებლად მიღებას.

პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება როგორც საპენსიო და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით. პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

პენსია შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობიდან:

- პირადი განცხადებით;
- საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში;
- სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან;
- უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას;
- პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;
- პენსიონერის გარდაცვალებისას;
- პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ.

პენსიის მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობა არსებობს მაშინ, როდესაც ხდება პენსიის წარმოშობის ან შეწყვეტის საფუძვლების თაღლითურად დამახინჯება ისე, რომ თაღლითს დაუმსახურებლად წარმოეშვება (ან არ უწყდება) პენსიაზე უფლება.

საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული თაღლითობა

ამგვარი თაღლითობისას საბანკო ამონაწერში ჩნდება ტრანზაქცია, რომელიც მომხმარებელს არ განუხორციელებია.

საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული თაღლითობას შეიძლება იდენტიფიკაციის ქურდობა უსწრებდეს იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ბარათის ან საბანკო ინფორმაციაა მოპარული.

როგორ დავიცვათ თავი?

- არ გადააგდოთ ან უმეთვალყურეოდ არ დატოვოთ ისეთი რამ, რაც თქვენს სახელს, მისამართს ან ფინანსური დეტალების შესახებ ინფორმაციას შეიცვას. ასეთი დოკუმენტი დაწვით ან ისე გაანადგურეთ, რომ მისი აღდგენა მაქსიმალურად გართულდეს.
- თუ მიიღებთ ელექტრონულ წერილს ან სატელეფონო ზარს თქვენი ბანკისგან, რომელიც ითხოვს თქვენი უსაფრთხოების დეტალებს, არასოდეს გაამჟღავნოთ სრული პაროლი, შესვლის დეტალები ან ანგარიშის ნომრები. ბანკების უმეტესობა არასდროს მიმართავს თავის კლიენტებს ამ გზით.
- თუ დაინტერესებული ხართ ზარის წყაროთი, სთხოვეთ აბონენტს, მოგცეთ მთავარი საკონტაქტო ნომერი, რომლითაც შეძლებთ უკან დარეკვას და მანამდე გადაამომწეთ აღნიშნული ზარი. ალტერნატიულად, გათიშეთ და დაურეკეთ თქვენს ბანკს ოფიციალურ ნომერზე და გადაამოწმეთ ზარის ან ელფოსტის შინაარსი.
- ყურადღებით შეამოწმეთ თქვენი ამონაწერი და მყისიერად მიმართეთ ფინანსურ დაწესებულებას პირველივე საეჭვო ტრანზაქციის აღმოჩენის შემთხვევაში.
- არასდროს დატოვოთ საბანკო ან ნებისმიერი სხვა ჩეკი უმეთვალყურეოდ. მათი განადგურებისას დარწმუნდით, რომ რამდენჯერმეა გადახეული და ამ ფორმით გადაგდებული.

საბანკო ბარათთან დაკავშირებული თაღლითობა

საბანკო ბართთან დაკავშირებული თაღლითობა არსებობს მაშინ, როდესაც დამნაშავე მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება საბანკო ბარათს და ამ გზით განკარგავს თანხას.

მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში იგულისხმება საკუთრივ ბარათის მითვისება ან ანგარიშის დეტალები, რითაც ჩნდება თანხის ანგარიშიდან დაუფლების შესაძლებობა ან საბანკო ბარათის სხვისი სახელით გამოყენება. მსხვერპლის მხრიდან ამ ქმედების გამოვლენა ხდება მაშინ, როდესაც საბანკო ამონაწერში უჩვეულო ტრანზაქციები ჩანს, ოვერდრაფტის ლიმიტია გადაჭარბებული ან თანხა უკვე მოხსნილია და მესაკუთრე მას ველარ იყენებს.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კარგად ცნობილი გზა, თუ როგორ ეუფლებიან თანხას თაღლითობის ამ ტიპის გამოყენებით:

თაღლითობა ბანკომატის დახმარებით

თაღლითი იყენებს სპეციალურ მოწყობილობას, რომლის დახმარებითაც ხდება მომხმარებლის ბარათის მონაცემების დაფიქსირება ბანკომატიდან თანხის განაღდების დროს. შემდეგ თაღლითი ამ ინფორმაციის გამოყენებით ხსნის თანხას ანგარიშიდან ონლაინ ან გამოაქვს ბანკომატიდან.

ბარათის გაყალბება

თაღლითი აყალბებს საბანკო ბარათის მონაცემებს სპეციალური მოწყობილობის საშუალებით და ეუფლება იმ ინფორმაციას, რაც ბარათის მაგნიტურ ზოლშია ჩამონტაჟებული. აღნიშნული ქმედება „სქიმინგის“ სახელითაა ცნობილი. ამის შემდეგ თაღლითი მიღებულ ინფორმაციას თაღლითური ტრანზაქციებისთვის იყენებს ისეთ ქვეყნებში, სადაც ჩიპები და პინ ტექნოლოგიები ნაკლებადაა გავრცელებული.

ასეთი გზით დაუფლებული ინფორმაცია მაშინაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როდესაც ტრანზაქციისას ბარათის ფიზიკური არსებობა საჭირო არ არის. მაგალითად, ონლაინ ვაჭრობისას, ნივთების ტელეფონით ან მეილით შეძენისას.

თაღლითობა მოპარული ან დაკარგული ბარათით

ასეთ დროს თაღლითი იყენებს სხვის ბარათს, მისი მოპარვის ან დაკარგვის შესახებ განაცხადის დაფიქსირებამდე.

თაღლითობა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით

თაღლითმა შეიძლება დააგროვოს ადამიანის პირადი ან ფინანსური ინფორმაცია იმ მოცულობით, რაც საკმარისი იქნება ანგარიშის დასაუფლებლად და სხვა ადამიანის განსასახიერებლად. თუ ამის შემდეგ თაღლითი შეძლებს უსაფრთხოების გვერდის ავლას, მაშინ მას წვდომა ექნება ანგარიშზე. ეს შეიძლება მოახერხოს „ქოლ ცენტრის“ მოტყუებით ან ბანკში თანამონაწილის დახმარებით. თუ თაღლითი შეძლებს სხვა ადამიანის განსახიერებას, მაშინ მას შეეძლება ანგარიში გახსნას სხვა ადამიანის სახელზე და სხვადასხვა სახის ზიანი მიაყენოს მას.

როგორ დავიცვათ თავი?

შეინახეთ ყველა თქვენი ბარათი და ფინანსური დეტალი უსაფრთხოდ:

- ყოველთვის იზრუნეთ თქვენს ბარათებსა და ბარათის დეტალებზე. ეცადეთ გარიგების განხორციელებისას ბარათი უყურადღებოდ არ დატოვოთ.
- ყურადღებით შეამოწმეთ ქვითრები და შეადარეთ საბანკო ამონაწერს. უცნობი ტრანზაქციის აღმოჩენის შემთხვევაში მყისიერად დაუკავშირდით ბანკს.
- შეინახეთ თქვენი ქვითრები და ფინანსური დოკუმენტები უსაფრთხოდ. განადგურების შემთხვევაში სასურველია მათი ე.წ. „დაშრედერება“ ან დაწვა.
- ახალი ბარათის მიღებისთანავე მოაწერეთ ხელი.
- ვადაგასული ბარათები გადაჭერით მაგნიტური ზოლისა და ჩიპის გასწვრივ.

დაიცავით თქვენი PIN კოდი:

- დაიმახსოვრეთ თქვენი PIN კოდი და გაანადგურეთ PIN კოდის ამსახველი ნებისმიერი ინფორმაცია შეტყობინების მიღებისთანავე.

- დარწმუნდით, რომ ხართ ერთადერთი ადამიანი, ვინც იცის თქვენი PIN კოდი. არასოდეს გაანდოთ PIN კოდი სხვას. თქვენი ბანკი ან პოლიცია არასოდეს მოგთხოვთ მის გამ-ჟღავნებას.
- PIN კოდის შეტანისას დაწრმუნდით, სხეულით ბანკომატი ისე გაქვთ დაფარული, რომ მისი აკრეფისას შეუძლებელი იყოს ციფრების დანახვა ან მისი კამერით დაფიქსირება. თუ რაიმე ეჭვი გაგიჩნდათ PIN კოდის დაცვასთან დაკავში-რებით, აუცილებლად შეცვალეთ ის ბანკომატის გამოყენე-ბით ან დაუკავშირდით ბანკს.

სალარო აპარატების გამოყენებისას გამოიჩინეთ ყურადღება:

- უპირველეს ყოვლისა, იზრუნეთ პირად უსაფრთხოებაზე. თუ ვინმე დისკომფორტს გიქმნით, გააუქმეთ თანხის განა-ღდების ოპერაცია და გამოიყენეთ სხვა ბანკომატი.
- თუ შეამჩნევთ ბანკომატის ხარვეზს ან სხვა რაიმე უჩვეუ-ლო ნიშანს, არ გამოიყენოთ იგი. ამის შესახებ დაუყოვნებ-ლივ აცნობეთ ბანკს.
- თუ თანხის განაღდებისას ხალხმრავლობაა ან ფიქრობთ, რომ ვინმე გიყურებთ, შეწყვიტეთ თანხის განაღდების ოპე-რაცია და გამოიყენეთ სხვა ბანკომატი.
- მას შემდეგ, რაც დაასრულებთ თანღის განაღდებას, არ დატოვოთ განაღდების ქვითარი ბანკომატთან. მნიშვნე-ლოვანია ქვითრის ისე განადგურება, რომ მასზე დატანილი ინფორმაცია მაქსიმალურად რთულად გარჩევადი იყოს.

ბარათით ონლაინ სარგებლობისას:

- აუცილებლად გამოიყენეთ ანტივირუსის პროგრამა და „ფაიე-რვოლი“. დარწუნდით, რომ პერიოდულად ანახლებთ ბრაუზე-რის უსაფრთხოებას, რომელიც „პაჩის“ სახელითაა ცნობილი. როდესაც კავშირი უსაფრთხოა, თქვენი ბანკის ვებგვერდის მისამართი „http-დან“ „https-ზე“ უნდა შეიცვალოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეასრულეთ ონლაინ ტრანზაქცია.

- ყურადღება მიაქციეთ უჩვეულო ელფოსტებს. თქვენი ბანკი ან/და პოლიცია არასდროს მოგთხოვთ PIN კოდის გამჟღავნებას.
- ბანკის ვებგვერდზე გადასვლისას აუცილებლად ჩაწერეთ ბანკის მისამართი ბრაუზერში. არასდროს „დააკოპიროთ“ ბანკის მისამართი ელფოსტაზე ან ნებისმიერ სხვა საკომუნიკაციო არხზე მოსული ბმულიდან.
- ონლაინ ვაჭრობისას გამოიყენეთ სანდო ვებგვერდები. ბარათის შესახებ ინფორმაციის გაცემამდე, დარწმუნდით, რომ ბრაუზერში ვებგვერდის მისამართის ადგილას ჯერ ჩაკეტილი ბოქლომის ნიშანია და შემდეგ “https” და ამის შემდეგ – ვებგვერდის მისამართი.
- არასდროს გაგზავნოთ PIN კოდი ინტერნეტით.

სამედიცინო დიაგნოზის დასმასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა ხდება მაშინ, როდესაც მედიცინის მუშაკები ან სამედიცინო დაწესებულების მესვეურები პაციენტს უნიშნავენ არასაჭირო მკურნალობას, უსვამენ არასწორ დიაგნოზს, რათა მძიმედ წარმოაჩინონ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტს უნიშნავენ თითქოსდა აუცილებელ ან გადაუდებელ ოპერაციას, რეალური ვითარება კი ამას არ მოითხოვს, ანდა მკურნალობას უნიშნავენ ან ქირურგიულ ოპერაციას უტარებენ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს იმ მიზნით, რომ ასეთი პაციენტისგან მიიღონ შესაბამისი თანხა მკურნალობის ან ჩატარებული ოპერაციის საფასურის სახით.

ის გარემოება, რომ მიღებული თანხების სანაცვლოდ პაციენტს რეალურად ჩაუტარდა ოპერაცია ან გაეწია სხვა სახის მკურნალობა, რაზეც თაღლითები აპელირებენ ხოლმე (რომ თაღლითური მიზანი არ არსებობდა), ვერ შეცვლის აღნიშნული ქმედების სტატუსს, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში თითქოსდა საჭირო მკურნალობის ან ოპერაციის ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარი ხერხია დაზარალებულის შეცდომაში შესაყვანად და ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხის ან ქონებრივი უფლების მოსაპოვებლად.

თაღლითობის მსგავსი შემთხვევები სამედიცინო დარგის გარდა, სავსებით შესაძლებელია, შეგვხვდეს საქმიანობის სხვა დარგებშიც, მაგალითად, მშენებლობის, გარკვეული სახის ტექნიკური მომსახურებისა და განათლების სფეროშიც კი. ყველა ასეთ შემთხვევაში ჩადენილი ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას ვერ გამორიცხავს ის გარემოება, რომ დამნაშავემ მის მიერ დაუფლებული სხვისი თანხის ან სხვა ნივთის სანაცვლოდ გარკვეული მომსახურება ან სხვა საქმიანობა გაუწია დაზარალებულს, რადგან არ არსებობდა მისი საჭიროება და ეს უკანასკნელი გამოყენებულია მხოლოდ დაზარალებულის მოტყუების საშუალებად, ანდა უკვე ჩადენილი მოტყუების შესანიღბად.

სასტუმროს ან სხვა ტიპის საცხოვრებლის დაჯავშნასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობისას იჯავშნება სასტუმრო ან სხვა ტიპის საცხოვრებელი, თუმცა რეალურად სასტუმრო არ არსებობს და ჯავშნის თანხა თაღლითის ანგარიშზე ირიცხება. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, თუ თაღლითი სხვა ქვეყანაშია. ასეთ შემთხვევაში მისი გამოაშკარავების შანსი ძალიან დაბალია.

სახელმწიფო უწყების სახელის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა მაშინ ხდება, როდესაც თაღლითი თავს სახელმწიფო უწყების წარმომადგენლად ასაღებს და პოტენციურ მსხვერპლს კონკრეტულად რაიმეს ან სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულების მოხსნას ჰპირდება.

არის შემთხვევები, როდესაც თაღლითი თავს წარადგენს შესაბამისი უწყების თანამშრომლად და სოლიდური თანხის სანაცვლოდ კომპანიის საბანკო ანგარიშებზე სახელმწიფოს მიერ დადებული ინკასოსა თუ ყადაღის მოხსნის ან მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის კონკურენციისა და ტენდერში მონაწილეობის გარეშე გამარჯვების დაპირებას იძლევა. ისიც შესაძლებელია, რომ თაღლითი სასამართლოში არსებული დავის დაჩქარებულად განხილვის დაპირებას იძლეოდეს და ა.შ. დაპირების სახე უამრავი შეიძლება იყოს. რაც უფრო მაცდურია წინადადება, მით უფრო მეტია თაღლითობის სქემის არსებობის ალბათობა.

სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა არსებობს მაშინ, როდესაც თაღლითი მოტყუებით ცდილობს სოციალური დახმარების დაუმსახურებლად ან საჭიროების გარეშე მიღებას.

სოციალური დახმარების სახეებია:

- საარსებო შემწეობა;
- რეინტეგრაციის შემწეობა;
- მინდობით აღზრდის ანაზღაურება;
- სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება;
- არაფულადი სოციალური დახმარება;
- სოციალური პაკეტი.

თაღლითობის გავრცელებული ფორმების მიხედვით ქვემოთ მიმოხილულია მხოლოდ ორი მათგანი:

საარსებო შემწეობა – საარსებო შემწეობა ეკუთვნის ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულაც ნაკლებია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ოდენობაზე და იგი ემსახურება ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება სარეიტინგო ქულის ოდენობის შესაბამისად. ოჯახს, რომელიც მინიჭებულ ქულას არ ეთანხმება, შეუძლია განმეორებით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვოს ოჯახის ხელახალი გადამოწმება ბოლო შემოწმებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. თაღლითობა არსებობს მაშინ, როდესაც რეალურ მდგომარეობას ამახინჯებენ შემწეობის გამოსათვლელი სარეიტინგო ქულის განზრახ გაზრდის მიზნით ან ოჯახი თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას არ აწვდის სააგენტოს.

სოციალური პაკეტი – სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი) ერთობლიობა, რომელიც ინიშნება შეზღუდული შე-

საძლებლობის სტატუსის გამო და მარჩენალის გარდაცვალების საფუძველზე. თაღლითობენ, როდესაც შშმ პირის სტატუსის მოპოვებისათვის აყალბებენ დოკუმენტებს და ადამიანს ენიშნება ამ ტიპის სოციალური პაკეტი დამსახურების გარეშე ან მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მცდარ ცნობებს წარადგენენ, რის საფუძველზეც ინიშნება სოციალური პაკეტი.

შესაძლებელია ამ ტიპის თაღლითობა მოხდეს მესამე პირის დახმარებითაც. კერძოდ, მესამე პირი ნდობაში შედის პოტენციურ განმცხადებელთან და არწმუნებს მას, რომ, მაგალითად, სოციალური პაკეტი ეკუთვნის, ხოლო მიღებულ თანხას თავადვე ისაკუთრებს.

„სპამინგი“

„სპამინგი“ (spamming) სარეკლამო და სხვა ხასიათის ელექტრონული წერილების მიმღების დაუკითხავად და მისი სურვილის გარეშე გარკვეული პიროვნების ან კომპანიის მიერ დაგზავნაა. მსგავსი ტიპის ელექტრონული წერილი დღის განმავლობაში მილიონობით იგზავნება და სხვადასხვა ტიპის პირადი ინფორმაციის დაუფლებას ისახავს მიზნად.

პერსონალური ინფორმაციის დაუფლების შემდეგ შესაძლებელია მისი სხვადასხვა თაღლითური სქემისთვის გამოყენება. შესაბამისად, „სპამინგი“ თაღლითური სქემის სისრულეში მოსაყვანი მოსამზადებელი საშუალებაა.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- ყურადღება მიაქცეთ არაიდენტიფიცირებადი ელფოსტით შემოსულ ბმულებსა და მათზე დართულ დოკუმენტებს, ძალიან ხშირად ასეთი ელექტრონული წერილები „სპამინგის“ შემადგენელი ნაწილია.
- ელფოსტით მიღებულ ვებგვერდის ბმულზე გადასვლა საარისკოა.
- არაიდენტიფიცირებადი ელფოსტისთვის პასუხი რისკის შემცველია.

როგორ დავიცვათ თავი?

- არასდროს გახსნათ არაიდენტიფიცირებადი ელფოსტის ბმულები და არ ჩამოტვირთოთ მიმაგრებული დოკუმენტები.
- შესაძლებელია ელექტრონული წერილი იყოს იმიტაცია და თუ ის მიღებულია ცნობილი კონტაქტისგან, მაგრამ უჩვეულო დროს არის გამოგზავნილი ან უცნაური შინაარსი აქვს, მაშინ აუცილებლად გადაამოწმეთ გამომგზავნისგან, რამდენად რეალურია გამომგზავნი.

- თუ ელექტრონულ წერილში მოცემულია ბმული და გატყობინებთ, რომ ამ ბმულიდან შეხვიდეთ თქვენს ონლაინ მისამართზე, რადგან მასში საეჭვოდ სცადეს შესვლა, არასდროს გამოიყენოთ გამოგზავნილი ბმული. ამის ნაცვლად, „დააკოპირეთ“ ის და ამ გზით გადადით მითითებულ ვებგვერდზე.

ტურისტული თაღლითობა

ტურისტული თაღლითობისას ტურისტულ კომპანიას ან აგენტს თანხას ურიცხავენ ტურის დასაგეგმად და რაღაც დროის შემდეგ გამოაშკარავდება, რომ ტური არ არსებობს ან არ დაგეგმილა.

ხშირად თაღლითები ავრცელებენ ცრუ განცხადებებს, სხვადასხვა გზით უკავშირდებიან მომხმარებელს და დაუჯერებელ დაბალ ფასად სთავაზობენ ტურს რომელიმე სხვა ქვეყანაში. სხვა ტურისტული სააგენტოს ან სასტუმროს გაქირავების ვებგვერდებიდან იღებენ სურათებს და ამით კიდევ უფრო მაცდურ შეთავაზებას აკეთებენ. შესაძლებელია თაღლითს მართლაც ჰყავდეს რამდენიმე ადამიანი ან ჯგუფი გაგზავნილი სამოგზაუროდ, თუმცა აღნიშნული მხოლოდ ნდობის მოსაპოვებლად იყოს გაკეთებული

როგორც წესი, თაღლითი ნაღდი ანგარიშსწორებით იღებს თანხას (შესაძლებელია კრიპტოვალუტითაც), რათა თანხის გადაცემის დამტკიცება ან თანხის მასთან დაკავშირება გართულდეს.

შეიძლება ისე აღმოჩნდეს, რომ მსხვერპლს ბოლო მომენტამდე ეგონოს, ტური დაჯავშნილია და ყველაფერი წესრიგშია, რეალურად კი აეროპორტში მისულმა აღმოაჩინოს, რომ ბილეთი არავის შეუძენია ან სასტუმროში მისულს ჯავშანი არ ჰქონდეს.

უფრო გავრცელებულ შემთხვევებში, თაღლითი თანხის გადახდის შემდეგ ყოველგვარ კონტაქტს წყვეტს მსხვერპლთან, ცვლის ნომერს, არ ადასტურებს ჯავშანს და ა.შ.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- ტურისტული სააგენტო ან აგენტი უეცრად გიკავშირდებათ და დაუჯერებელ შეთავაზებას გიკეთებთ, როგორც წესი, ეს იმის ნიშანი შეიძლება თაღლითთან გაქვთ საქმე.
- თუ თაღლითი ნაღდი ანგარიშსწორებით ითხოვს ანაზღაურებას, ესეც პოტენციური თაღლითობის არსებობის ნიშანია.
- სააგენტოს არ გააჩნია ვებგვერდი (სოციალური ქსელის გვერდი).

- ტურისტული აგენტი დიდი ხნის განმავლობაში არ გზავნის ჯავშანს.
- ტურისტულ აგენტთან კავშირი ვერ მყარდება.

ტოტალიზატორის ფსონის განთავსებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა არსებობს მაშინ, როდესაც მომხარებელს არწმუნებენ „ჩაწყობილი“ თამაშების ან „ნაღდი“ სქემის არსებობის შესახებ და გარანტირებულ მოგებას ჰპირდებიან.

როგორ აღმოვაჩინოთ?

> თაღლითები არჩევენ მოთამაშეებს/მსხვერპლებს და მათ სთავაზობენ ინფორმაციას სპორტიდან ნებისმიერი სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ა.შ.) ჩაწყობილი/გარიგებული თამაშების შესახებ.
>
> ხშირია შემთხვევა, როდესაც თაღლითი ნდობის მოპოვებას ცდილობს უშუალოდ რომელიმე სპორტსმენის პირადი ნაცნობობით, რითიც ჩაწყობის შესახებ ინფორმაციას მეტ სანდოობას სძენს, ან ონლაინ ვებგვერდს თუ შეთავაზებას ავრცელებს, სადაც ირწმუნება, რომ მუდმივად მოსაგები სქემა აქვს შემუშავებული. ამის დასტურად ის მოგებული ბილეთის (რომელიც ხშირ შემთხვევაში გაყალბებულია) და მოგებული ფულის სურათს ავრცელებს, რაც ნდობის მოსაპოვებლად გამოიყენება. სქემის სანაცვლოდ, თაღლითი წინასწარ სთავაზობს თანხის გადახდას და „ექსპერტის“ რჩევით შედგენილი ბილეთის ბედი მხოლოდ იღბალზეა დამოკიდებული.
>
> კითხვაზე, თუ რაში უნდა უღირდეს ვინმეს ჩაწყობილი თამაშების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, როდესაც თავადაც შეუძლია მისი გამოყენება, თაღლითებს აქვთ სტანდარტული პასუხი. კერძოდ, ისინი არიან ე.წ. შავ სიაში და ვერ ათავსებენ ფსონს ან არიან ძალიან ცნობილი მოთამაშეები და დიდ ფსონს მათგან აღარ იღებენ. შესაბამისად, სარგებლის ნახვის ერთადერთი გზა მათი „ცოდნის“ გაყიდვაა.

როგორ დავიცვათ თავი?

- ნებისმიერი სქემა, რომელიც გარანტირებულ მოგებას გპირდებათ, ყოველთვის მცდარია.
- ჩაწყობილი თამაშების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გასაყიდად არ გამოდის და თუ ასეთი რამ მართლა არსებობს, მხოლოდ ადამიანების შეზღუდულმა წრემ იცის.
- არ განათავსოთ ფსონი სხვა ადამიანის, განსაკუთრებით ისეთის სახელით, რომელსაც არ იცნობთ. ისინი განთავსებული ფსონის თანხას არ დააბრუნებენ.

ფიშინგი

ფიშინგი თაღლითობის ფორმაა, რომელიც მომხმარებელს მოტყუების გზით აიძულებს, გაამჟღავნოს თავისი პერსონალური ან ფინანსური ინფორმაცია თაღლითების მიერ შექმნილ ყალბ ვებგვერდზე ან ბმულზე (შესავსებ ფორმაზე) შეტანის გზით.

ფიშინგის დროს მომხმარებელთან მიდის შეტყობინება ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელით ან სხვა საშუალებით, წერილის ავტორად კი ხშირად ფინანსური ან სხვა, მომხმარებლისათვის ნაცნობი ორგანიზაცია მიეთითება. შესაძლოა, ავტორად დაფიქსირებული იყოს ამ უკანასკნელის დასახელების იმიტაციაც. თაღლითები ცდილობენ, მოტყუებით გადაიყვანონ მომხმარებელი შეტყობინებაში მოცემულ ბმულზე, რომელიც ყალბი ვებგვერდის მისამართია ან/და ჩამოატვირთინონ მიმაგრებული მავნე ფაილი. ამ გზით მომხმარებლის ინფორმაცია (როგორც ვებგვერდზე მომხმარებლის მიერ შეტანილი, ისე ჩამოტვირთული მავნე ფაილის მიერ მოპოვებული ინფორმაცია) კი თაღლითების ხელში აღმოჩნდება და საშუალებას მისცემს მათ, დანაშაულებრივი მიზნებისთვის გამოიყენონ.

აღსანიშნავია, რომ თაღლითების მიერ შექმნილი ყალბი ვებგვერდი ხშირ შემთხვევაში ვიზუალურად მაქსიმალურადაა მიმსგავსებული კონკრეტული დაწესებულების ნამდვილ, ოფიციალურ ვებგვერდს (მაგ., ინტერნეტბანკი). გაყალბებულ ვებგვერდზე, რომელიც ინტერნეტბანკის მსგავსია, მომხმარებლის სახელის, პაროლისა და სხვა უსაფრთხოების მონაცემების შეტანით, თაღლითები მოიპოვებენ მომხმარებლის საბანკო ანგარიშებზე წვდომას, რაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ მსხვერპლის სახელით სესხის აღება, მისი დეპოზიტის ხელშეკრულების დარღვევა და თანხის მითვისება, თანხების გადარიცხვა და ა.შ. ხოლო გადახდების ვებგვერდზე მომხმარებლის მიერ გამჟღავნებული ბარათის ნომრის, მოქმედების ვადის და უსაფრთხოების სამნიშნა კოდის საშუალებით თაღლითებს შესაძლოა საშუალება მიეცეთ ინტერნეტსივრცეში მომხმარებლის ბარათით შეასრულონ არასანქცირებული გადახდები.

ფიშინგის ნაირსახეობაა, სმიშინგი, რომელიც მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გაგზავნით ხდება. შეტყობინების გამომგზავნად აქაც ბანკის ან სხვა ორგანიზაციის სახელია მითითებული და ასევე, შეიცავს თაღლითურ ვებგვერდზე გადასასვლელ ბმულს. შეტყობინების ტექსტში ცრუ ინფორმაციაა, რომელიც მსხვერპლს კონკრეტულ ვებგვერდზე ამისამართებს.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- ელფოსტით მიღებული შეტყობინების შემთხვევაში დააკვირდით, ვისგან არის მოსული წერილი. გახსოვდეთ, ელფოსტის მისამართი რეალური ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართზეა მიმსგავსებული.
- სოციალური ქსელით მიღებული პირადი შეტყობინების ან საჯაროდ გამოქვეყნებული შეთავაზების შემთხვევაში კი დააკვირდით, ვინ არის მისი ავტორი. შესაძლებელია ავტორი რეალურ პიროვნებად ასაღებდეს თავს, მაგრამ სხვა იყოს ან რეალური პიროვნების სურათს იყენებდეს და ა.შ.
- გულდასმით გაეცანით წერილის შინაარსს.
- თაღლითებისგან გამოგზავნილი წერილი, რომელიც ყალბი ვებგვერდის ბმულს შეიცავს, მომხმარებელს ატყობინებს, რომ საჭიროა მისი საბანკო ანგარიშის განახლება ან განბლოკვა და ამ მიზნით მითითებულ ბმულზე გადასვლას სთხოვს.
- ელექტრონულ წერილზე შეიძლება ასევე მიმაგრებული იყოს დოკუმენტი, რომლის გახსნის შედეგადაც შესაძლებელი ხდება თქვენი კომპიუტერის მავნე/ვირუსული პროგრამით დაინფიცირება და მასში შეღწევა.
- სანამ ბარათის შესახებ ინფორმაციას გასცემთ, დარწმუნდით, რომ ბრაუზერში ვებგვერდის მისამართის ადგილას ჯერ მწვანე ჩაკეტილი ბოქლომის ნიშანია და შემდეგ “https” და ამის შემდეგ – ვებგვერდის მისამართი.

როგორ დავიცვათ თავი?

- არასდროს გადახვიდეთ ელექტრონულ წერილში მოცემულ საეჭვო ვებგვერდზე და არ შეიტანოთ პერსონალური ან ფინანსური მონაცემები, რადგან წერილი შეიძლება თაღლითისგან იყოს.
- მაქსიმალურად შეზღუდეთ ინფორმაციის (რომელმაც თქვენს შესახებ შესაძლებელია დამატებითი დეტალები მიაწოდოს უცხო პირს) გაზიარება სოციალურ ქსელში, Facebook-ზე, ფორუმებსა და სხვა ინტერნეტრესურსებზე. რაც უფრო მეტი პერსონალური ტიპის ინფორმაცია იქნება თქვენზე საჯაროდ ხელმისაწვდომი, მით უფრო გაუადვილდება კიბერდამნაშავეს თქვენი მახეში გაბმა.
- თუ ელექტრონული წერილი წარმოჩენილია ნაცნობი ორგანიზაციისგან ან პირისგან გამოგზავნილად, გადაამოწმეთ შესაბამისი ორგანიზაციის ან პირის საკონტაქტო დეტალები, რომელიც თქვენთვისაა ცნობილი.
- პირდაპირ არ გადახვიდეთ ბმულზე, „დააკოპირეთ“ ის და ისე გადაიტანეთ მეილიდან ვებბრაუზერში.
- თუ წერილი გამოგზავნილია ნაცნობი ადამიანისგან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არაა საფრთხის შემცველი. შესაძლებელია თქვენი ნაცნობის კომპიუტერი დაინფიცირებული იყოს ან მისი სახელით სხვას ჰქონდეს მომხმარებლის ანგარიში შექმნილი.
- თუ მოხდა ისე, რომ საეჭვო ვებგვერდზე შეიტანეთ თქვენი მონაცემები, მაშინვე დაუკავშირდით ბანკს და აცნობეთ ამის თაობაზე, ასევე შედით თქვენს ინტერნეტბანკის ანგარიშზე და სასწრაფოდ შეცვალეთ პაროლი, დაბლოკეთ საგადახდო ბარათი.

ფსიქიკური ზემოქმედება ან მომავლის ცოდნასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა არსებობს მაშინ, როდესაც თაღლითი ამტკიცებს, რომ ზებუნებრივი შესაძლებლობები აქვს და იცის კონკრეტული ადამიანის მომავლის შესახებ რაიმე დადებითი ან უარყოფითი ინფორმაცია, თანხის სანაცვლოდ კი მზადაა ის გასცეს.

როგორც წესი, პოტენციური მსხვერპლის შერჩევა ელფოსტით, ტელეფონით და უშუალო კომუნიკაციის გზით ხდება (მაგ., ხელის შეხებით შეუძლია თქვას, რა ბედი ელის ადამიანს მომავალში). თანამედროვე ტექნოლოგიებმა და სოციალური ქსელების პოპულარობამ საკმაოდ გაადვილა ადამიანის შესახებ უამრავი ინფორმაციის შეგროვება, რასაც აქტიურად იყენებენ თაღლითები.

ხშირია შემთხვევა, როდესაც პოტენციური მსხვერპლის დაინტერესების მიზნით, რაიმე მოახლოებულ განსაცდელზე ან პირიქით, წარმატებაზეა აქცენტი გადატანილი (მაგ., წყევლის მოხსნა, მომგებიანი ლატარიის ციფრების დასახელება და ა.შ.).

თაღლითობა ჩადენილია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანმა ამ „მომსახურებაში“ ფული გადაიხადა.

ფულის გადაზიდვა („მულინგი“)

ფულის გადამზიდავი არის ადამიანი, რომელიც უკანონოდ დაუფლებულ ფულს საკუთარი ანგარიშის გავლით რიცხავს სხვადასხვა ქვეყანებში.

გადამზიდველი ზოგჯერ უნებლიედ ხდება დამნაშავის მსხვერპლი ისე, რომ არც კი იცის თაღლითური სქემის შესახებ. ისინი იღებენ მოპარულ ფულს საკუთარ ანგარიშზე, თუმცა მისი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ და შემდეგ რიცხავენ ამ თანხას სხვა ანგარიშზე, როგორც წესი, სხვა ქვეყანაში. ამ მომსახურებისთვის კი საკომისიოს სახით გარკვეულ თანხას იტოვებენ.

იმისდა მიუხედავად, იცოდა თუ არა გადამზიდველმა, რომ ის რაიმე უკანონო სქემის მონაწილე იყო, მაინც შესაძლებელია დადგეს მისი პასუხისმგებლობა. დამნაშავეები ხშირად იყენებენ დასაქმების შესახებ ცრუ რეკლამებს ან სოციალური მედიის პოსტებს ფულის ადვილად შოვნის შესახებ, რითაც საკმაოდ ადვილად ახერხებენ გადამზიდველების მიზიდვას.

ქმედებები, რომლებიც მსხვერპლად გახდომას უწყობს ხელს:

- ისეთი რეკლამების ან სოციალური მედიის პოსტების გამოხმაურება, რომლებიც მცირე სამუშაოს სანაცვლოდ დიდი ოდენობით თანხას გპირდებიან;
- დამსაქმებლისთვის პირადი ან ფინანსური დეტალების გამჟღავნებამდე ამ კომპანიის შესახებ ინფორმაციის არ მოძიება. განსაკუთრებით, როდესაც კომპანია საზღვარგარეთაა რეგისტირებული;
- ისეთი ადამიანისათვის/თანამშრომლისათვის თქვენ საბანკო ანგარიშებზე წვდომის დაშვება, რომელსაც არ იცნობთ ან არ ენდობით.

როგორ დავიცვათ თავი?

- განსაკუთრებით ფრთხილად იყავით ისეთ კომპანიებთან, რომლებიც საზღვარგარეთ მდებარეობს, რადგან მათ მიმართ ქმედითი ზომების გატარება გაცილებით რთულია.
- არასდროს გაანდოთ თქვენი ფინანსური დეტალები უცნობ ადამიანს.
- არცერთი ლეგიტიმური კომპანია არ მოგთხოვთ თქვენი საბანკო ანგარიშის გავლით თავისი თანხის გადარიცხვას. არ დასთანხმდეთ დასაქმების არცერთ შეთავაზებას, რომელიც მსგავს რამეს გავალდებულებთ.

„ზეგამდე“ ფულის სესხებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობა მაშინ არსებობს, როდესაც სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით ნაცნობი ადამიანი (ყოფილი მეგობარი, კლასელი, ჯგუფელი, გუნდელი და სხვა) ითხოვს ფულის სესხებას რამდენიმე დღით, თუმცა მის დაბრუნებას არ აპირებს.

ხშირია, როცა დიდი ხნის უნახავი ადამიანი სოციალური ქსელით კომუნიკაციას ამყარებს პოტენციურ მსხვერპლთან და რაიმე ცრუ მიზეზით სთხოვს მას თანხის სესხებას. კომუნიკაციის დამყარებამდე, როგორც წესი, ხდება წინაპირობების მომზადება, რაც სტატუსის ან პროფილზე არსებული სურათების მოწონებას უკავშირდება. მიზეზები შეიძლება ძალიან ბევრი იყოს და როგორც წესი დრამატული. მაგალითად, მშობლისთვისაა თანხა საჭირო ან შვილისთვის ან ყოფილი მეგობრის დასახმარებლად და ა.შ.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- დიდი ხნის უნახავი ნაცნობი უეცრად გიგზავნით დამეგობრების მოთხოვნას რომელიმე სოციალურ ქსელში (ცხადია, ყველა შემთხვევაში თაღლითობის მიზანი შეიძლება არ ამოძრავებდეს მას, მაგრამ წინაპირობის შექმნა და ნდობაში შესვლა თაღლითობის ძალიან ბევრი ტიპისთვისაა დამახასიათებელი).
- ნდობაში შემოსასვლელად ნაცნობი ადამიანი აქტიურად იწონებს თქვენს სურათებს/სტატუსებს და შეიძლება რამდენჯერმე მოგწეროთ, მოგიკითხოთ.
- თავის შეცოდების მიზნით ნაცნობი ადამიანი გესაუბრებათ თავისი არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის შესახებ ან იგონებს დრამატულ ისტორიას ახლობლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

- გთხოვთ რამდენიმე დღით თანხის სესხებას, რომელიც შეიძლება მცირე ოდენობის იყოს, მაგ., 50 ლარი, თუმცა წინასწარ იცის, რომ ამ თანხას არ დააბრუნებს.
- გთხოვთ თანხის ტოტალიზატორის ანგარიშზე ჩარიცხვას, რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ სწორედ ამ მიზნით სჭირდება თანხა.
- განმეორებით გთხოვთ თანხის ჩარიცხვას და გპირდებათ, რომ წინა თანხასთან ერთად დააბრუნებს.
- ნაცნობი ადამიანის წარსულის გადამოწმება.
- ნაცნობი ადამიანის ამჟამინდელი საქმიანობის გადამოწმება.

ქველმოქმედებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ქველმოქმედებასთან დაკაშირებული თაღლითობისას იქმნება ცრუ წინაპირობა ქველმოქმედებისთვის და ადამიანს არწმუნებენ, რომ მის მიერ გაღებული თანხა ნამდვილად ღირსეულ საქმეს (ადამიანის ან პირთა ჯგუფის დახმარებას) ხმარდება.

ქველმოქმედებასთან დაკავშირებული თაღლითობისას მნიშვნელოვანია სათანადო ისტორიის შექმნა, რაც გამოიხატება დასახმარებელი ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის გამოძებნაში, რომლის შესახებაც სხვადასხვა წყაროს მეშვეობით ინფორმაცია მიდის ადრესატებამდე, რომლებიც სინანულის, რელიგიური ან სხვა მიზეზების გამო „ეხმარებიან“ თაღლითს. უფრო მეტად დრამატული ისტორიისთვის შეიძლება ფონდი ან კამპანია შეიქმნას. მაგალითად, წყალდიდობის, პანდემიის ან სხვა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა ფონდი/კამპანია, რომელიც ვითომდა დაზარალებულთა დახმარებას ისახავს მიზნად, მაგრამ რეალურად თაღლითური სქემაა.

შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ მეტი დამაჯერებლობისთვის თაღლითმა მართლაც გასაჭირში მყოფი ადამიანის მონაცემები გამოიყენოს და ამგვარად მოახერხოს თანხის დაუფლება.

თუ თანხის გადახდა საამისოდ შექმნილი ვებვერდის გადახდის სისტემის მეშვეობით ხდება, მაშინ შესაძლებელია თაღლითმა მსხვერპლის საბანკო მონაცემებიც მიითვისოს და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ჩაიდინოს.

თაღლითობის ამ ფორმით უკანონოდ დაუფლებული შეიძლება იყოს ფული, საბანკო მონაცემები, სხვადასხვა ღირებულების ნივთები (ტანსაცმელი, კომპიუტერული ტექნიკა, ველოსიპედი და სხვა) და ა.შ.

როგორ დავიცვათ თავი?

- იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება მოდის ქველმოქმედების თანხის საქველმოქმედო ფონდში გადარიცხვაზე, მაშინ ფონდის რეალური არსებობის ფაქტის გადამოწმება

შესაძლებელია საქველმოქმედო ორგანიზაციების რეესტრის მეშვეობით, შემდეგ ვებგვერდზე: <https://www.rs.ge/CharityOrganization>.

- თუ შეტყობინების ადრესატი სოციალური ქსელის მომხმარებელია, რომელიც თანხის გადარიცხვას ითხოვს რაიმე ფონდის სახელზე, მაგრამ რეალურად საკუთარი ანგარიში აქვს მითითებული, მაშინ ერთი რამ ცალსახაა, რომ ფონდის სახელის გამოყენება ხდება ფიქტიურად. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს პიროვნება თაღლითია. შესაბამისად, ამ პიროვნების სახელი და გვარი უნდა მოიძებნოს ინტერნეტში და ხშირად ასეთი გზით მართლაც შესაძლებელია სიმართლის გაგება.
- თუ შეტყობინების ადრესატი ითხოვს კონკრეტული ადამიანის დახმარებას და გამისამართებთ ამ ადამიანის სოცალურ გვერდზე ან გზავნის მის სურათს, მაშინ შესაძლებელია სწორედ ამ სურათის შემოწმება. კერძოდ, რამდენად ეკუთვნის ის იმ ადამიანს, ვისადაც ის საღდება. ამისათვის უნდა ჩამოტვირთოთ სურათი და შემდეგ “Google”-ის სურათების საძიებო სისტემაში ატვირთოთ იგი. ასეთ დროს ატვირთული სურათით შეიძლება რეალური პიროვნების პოვნა და გადამოწმება, რამდენად შეესაბამება ეს პიროვნება იმ ადამინს, ვის დახმარებასაც ითხოვენ. თუ სახელი და გვარი განსხვავებულია, მაშინ თაღლითური სქემაა, ხოლო თუ სახელი და გვარი ემთხვევა, მაშინ შეიძლება ამ ადამიანზე მეტი ინფორმაციის მოძიება სოციალური ქსელების პროფილებით და ინტერნეტში არსებული ინფორმაციით.
- არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თაღლითები კარდაკარ დადიან და ისე სთხოვენ ხალხს არარსებული პირის, პირთა ჯგუფის დახმარებას, ან რაიმე მიზნისთვის თანხის შეწირვას. ამ დროს გადამოწმების ერთადერთი გზა კითხვების დასმა და მაქსიმალური ინფორმაციის მიღებაა. პასუხების ანალიზის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს დახმარების/არდახმარების საკითხი.

„ქოლცენტრის“ გამოყენებით ჩადენილი თაღლითობა

ამ ტიპის თაღლითობისთვის დამახასიათებელია ცრუ „ქოლცენტრის“ შექმნა ან რეალურ „ქოლცენტრში“ ინფლიტრაცია იმ მიზნით, რომ მომხმარებლების შესახებ მაქსიმალურად მეტი პერსონალური ინფორმაცია შეგროვდეს, რასაც შემდეგ თაღლითობის ჩადენისთვის გამოიყენებენ.

ყალბი საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული თაღლითობა

ყალბი საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული თაღლითობისას ბრენდების პროდუქცია, სამკაულები, ელექტრონული მოწყობილობები ან კოსმეტიკა ყალბია და მოტყუებით იყიდება, როგორც ნამდვილი.

ყალბი საქონელი ძირითადად ისეთ ნივთებს მოიცავს, რომლის გადაადგილებაც, მათი ზომიდან გამომდინარე, როგორც გამყიდველისთვის ისე მყიდველისთვის ადვილია. მაგალითად, ჩანთები, სამკაულები, პარფიუმერია, ტელეფონები, კომპიუტერული თამაშები და ა.შ. რეალურ სივრცეში ნივთების გასაყიდად მოსახერხებელია სავაჭრო ცენტრების მიმდებარე ტერიტორია, რესტორნები ან კარდაკარ სიარული. თუმცა ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა ყალბი პროდუქტებით ვაჭრობა ონლაინ აუქციონებზე ან სავაჭრო ვებგვერდებზე. ამ დროს ადამიანი მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებელობას, უშუალოდ ყიდვისას გადაამოწმოს ნივთი.

როგორც წესი, თუ შეძენილი ნივთი ყალბია და არ შეესაბამება მის აღწერილობას, ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ ნივთის შეცვლა ან თანხის დაბრუნება მოითხოვოს. თუმცა ამ ტიპის თაღლითობისას თაღლითების პოვნა ძალიან რთულია, რადგან ხშირად იცვლიან ადგილს. თუ ვირტუალურ სივრცეში შეიძინეთ ნივთი, თაღლითის გამოაშკარავება თითქმის წარმოუდგენელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნივთს სხვა ქვეყნიდან გამოიწერენ.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- ნივთის რეალურ სივრცეში შეძენისას დააკვირდით მის იარლიყებს, აღწერილობას. საკმაოდ ადვილია ყალბი პროდუქციის ამოცნობა, რადგან, როგორც წესი, იარლიყებში ბრენდის აღწერისას შეცდომებია ან მათი გარჩევა ორიგინალისგან თვალში მოსახვედრია.
- გასაყიდი ნივთის რეალურთან შედარებით იაფი ღირებულება კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ნივთი ყალბი იყოს.

გამყიდველისთვის რამდენიმე კითხვის დასმა ნივთის წარმომავლობასთან ან მის ფასთად დაკავშირებით შეიძლება საკმაოდ ინფორმაციული გამოდგეს მისი სიყალბის დასადგენად.

- ნივთის ონლაინ შეძენისას, უმჯობესია მისი შეძენა მხოლოდ ცნობილ ან უშუალოდ ბრენდის ავტორიზებულ გვერდებზე, რადგან იქ ყალბი ნივთებით ვაჭრობის უფრო ნაკლები ალბათობაა და ასეთი ვებგვერდები საკმაოდ მკაცრ რეგულაციებს შეიცავენ. საეჭვო ვებგვერდის შემთხვევაში, რაც არ უნდა მიმზიდველი ფასი ან იდეალური აღწერილობა ჰქონდეს მას, დიდი ალბათობით ყალბ პროდუქციას შეიძენთ.

შესყიდვებთან დაკავშირებული თაღლითობა

თაღლითობის ეს ტიპი მოიცავს ნებისმიერ თაღლითურ სქემას, რომელიც ვლინდება კომპანიის ან სახელმწიფოს მხრიდან მომსახურების ან ნივთების შეძენისას.

თაღლითობენ მაშინ, როდესაც სატენდერო პროცესი მიმდინარეობს ისეთი ფორმით, რაც თაღლითობის, ე.წ "bid-rigging"-ის (თაღლითობის ერთ-ერთი სახე) ჩადენას უწყობს ხელს.

შესყიდვისას შეიძლება თაღლითური სქემა მოიცავდეს კონკრეტული კონკურსანტისთვის სატენდერო პირობების მორგებას ან მისთვის ტენდერთან დაკავშირებით წინასწარი ინფორმაციის მიწოდებას, რის შემდეგაც ის განაცხადს სწორედ მიწოდებული დეტალების მიხედვით შეავსებს. შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ კომპანიამ აიღოს სატენდერო თანხა, მაგრამ არ გასწიოს მომსახურება ან იმაზე დაბალი ხარისხის მომსახურება შეასრულოს, ვიდრე ეს სატენდერო განაცხადში იყო.

როგორ აღმოვაჩინოთ?

- შესაბამისი თანამშრომლის მხრიდან სატენდერო დოკუმენტების ანალიზი.
- ისეთი ფორმით შევსებული სატენდერო განაცხადი, რომელიც ტენდერის ისეთ დეტალებზე აკეთებს აქცენტს, რაც სამართლიან პირობებში მონაწილეს არ უნდა სცოდნოდა.
- შესყიდვების პროცესის პერიოდული აუდიტი.
- კომპანიის მხრიდან წარმოებული შიდა გამოძიება.

ჯანმრთელობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული თაღლითობა

ჯანმრთელობის ან სამედიცინო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული თაღლითობა არსებობს მაშინ, როდესაც მომხმარებლის შეცდომაში შეყვანით, სხადასხვა საკომუნიკაციო გზით ავრცელებენ ყალბი მედიკამენტების შესახებ ინფორმაციას, თითქოს ისინი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას შეუწყობენ ხელს.

ამ ტიპის თაღლითობისას სთავაზობენ ისეთ მედიკამენტებსა და პროდუქტებს, რომლებითაც მომხმარებელი რეალური მედიკამენტების ჩანაცვლებას შეძლებს. თაღლითები თავიანთ მსხვერპლებს აჯერებენ, რომ იმავე შედეგებს უფრო ნაკლები დანახარჯით მიაღწევენ ან პროდუქტის შეძენის შემთხვევაში გასაოცარ შედეგს მიიღებენ. ზოგიერთი პროდუქტი ისეთია, რომელიც ვითომდა კურნავს აკნეს, შიდსს, ართრიტს, სიმსივნეს, იმპოტენციას ან იწვევს წონაში კლებას, კუნთის გაზრდას, სასქესო ორგანოს გადიდებას, ებრძვის თმის ცვენას და ა.შ.

ასეთი თაღლითობის სახესხვაობა შეიძლება იყოს რეცეპტის გარეშე მედიკამენტის ან ყალბი მედიკამენტების ძალიან დაბალ ფასად შეთავაზება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თაღლითი პროდუქტს აგზავნის, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მათ ის შედეგი ექნებათ, რის გამოც მომხმარებელი ყიდულობს პროდუქტს. ზოგ შემთხვევაში პირიქითაც შეიძლება იყოს და უფრო მეტი საფრთხე შეუქმნას ჯანმრთელობას.

ამ ტიპის თაღლითობისას როგორც მინუმუმ დგება მატერიალური ზიანი, ხოლო თუ შესყიდვა ონლაინ ხდება, თანხის დაბრუნების შანსი კიდევ უფრო იკლებს. ამასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება სენსიტიური პირადი და ფინანსური ინფორმაციაც დაიკარგოს, რაც თაღლითს მომხმარებლის ანგარიშების კონტროლის საშუალებას აძლევს.

როგორ დავიცვათ თავი?

- აცნობეთ პირად ან ნებისმიერ სხვა სერტიფიცირებულ ექიმს პროდუქტის წარმომავლობის შესახებ. არ დაიწყოთ ასეთი ფორმით შეძენილი მედიკამენტის/პროდუქტის მოხმარება კონსულტაციის გარეშე.
- შეინახეთ შესყიდვის ყველა მტკიცებულება, მათ შორის, თქვენ მიერ შეძენილი საქონელი და ნებისმიერი მიმოწერა.
- თუ უკვე გადაიხადეთ თანხა, დაუკავშირდით თქვენს ბანკს და უთხარით, რომ შესაძლოა თაღლითობის მსხვერპლი გახდით. ისინი დაგეხმარებიან გადახდების გაუქმებაში.
- თუ უკვე მიიღეთ ასეთი გზით შეძენილი სამედიცინო პროდუქტი, მიმართეთ პირად ექიმს.
- მოერიდეთ ფიზიკური პირის ანგარიშზე გადარიცხვას და თუ მაინც ხდება ეს, დანიშნულებაში აუცილებლად მიუთითეთ ზუსტი მიზნობრიობა.
- არ გაუგზავნოთ ვინმეს თქვენი პირადი ინფორმაცია ელ-ფოსტით.

როგორ აღმოვაჩინოთ?

ამ ტიპის თაღლითობით დაკავებული ვებგვერდები:

- გთავაზობენ სასწაულმოქმედ პროდუქტს, რომელიც გარღვევაა ამ სფეროში. რეალურად პროდუქტი არც შემოწმებულია/გამოცდილია და არც იმის დასტური არსებობს, რომ მუშაობს.
- რეცეპტით გასაცემ მედიკამენტებს რეცეპტის გარეშე გთავაზობენ.
- გამისამართებენ კმაყოფილი მომხმარებლების შეფასებებზე, თუმცა არავინ იცის, რამდენად რეალური მომხმარებელები არიან ისინი. ასეც რომ იყოს, კმაყოფილი მომხმარებლის შეფასება არცერთ შემთხვევაში არ უნდა დადგეს ავტორიზებული დაწესებულების შეფასებაზე წინ.

- არ გთავაზობთ პროდუქტის დაბრუნების პოლისს. თუ მოსთხოვთ თანხის დაბრუნებას, უჩინარდებიან.
- სრულიად უცნობ ადამიანებს ასაღებენ პროფესიონალებად და გთავაზობენ მათ შეფასებებს, თუმცა, თუ ამ ინდივიდებს გადაამოწმებთ, რეალურად ისინი არც არიან სპეციალისტები.